

ISSN 1512 - 4649

# ეკონომისტი

სამართლებრივი რეგულაციები და რეგულირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№2-3 2018 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,  
ბიზნესმენტა და მეცნიერთა პოზიციები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა,  
აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო სამსახური (ბანკირი, ბიზნესმენი,  
მეანობრე)

საქართველოში სიღატაკი (სამეცნიერო  
სამართალი), კომენტარები

მეცნიერული კითხვები და პროგნოზირება  
კვლევები



ჟურნალი “ახალი ეკონომისტი”  
რევიზირებულია:

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ  
გამოცემებში “ქართულ რევერატულ ჟურნალში”.

რევიზირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და სავაჭრო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასტანა).

მისამართი: საქართველო,  
0105, თბილისი, ჯორჯაძის ქ. №5  
ტელ.: +995 (32) 2 990 576;  
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;  
ელ-ფოსტა: loidk@yahoo.com  
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

The Magazine “Akhali Ekonomisti” (New  
Economist) HAS BEEN REVIEWED:

In “Georgian Reviewed Magazine” –  
P.L.L.E. Institute of Techninform

ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;
- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Astana).

ADDRESS: 5 Jorjadze str., 0105, Tbilisi, Georgia  
Tel.: +995 (32) 2 990 576;  
Mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;  
E-mail: loidk@yahoo.com  
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

# ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური სამართაშორისო რევიზირებადი და რეცენზირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2-3(50), 2018

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,  
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;  
საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე;  
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;  
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

## სარედაქციო კოლეგია:

### მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბუსაძე (პატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ნინო აბუსაძე; ანტონ აბრამაშვილი; იური ანანიაშვილი; როზა ანათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელგერ ბატიაშვილი; ბივი ბედიანაშვილი (ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); ხათუნა ბერიშვილი; თამარ ბამსახურდია; თინა ბელაშვილი; სიმონ ბელაშვილი; რამაზ ბერლიანი; რევაზ ბეჟაშვილი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ ბოგოზიანი; ვლადიმერ ბრიბოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლგბანდ ვენტი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუზარ თოდუა; ბონა თუთბერიძე (ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი); სერგეი იაკუბოვიჩი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი); მირაბ კაკაშვილი; ალექსანდრე კვაშილაშვილი; ბია კვაშილაშვილი; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პატა კოლუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ნევილ ლაბვილაშვილი; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-ბაბრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; ეკატერინე ლომია (საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის

უფროსი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ელგუჯა მამუკაშვილი; ნუზარ ნაღარაია (ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი); დავით ნარმანიანი; თეოდორ ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი); ვახტანგ სარტიანიანი; ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავაძე; გელა სვირაძა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამიტიან ტუშუკუაშვილი (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ვატილაშვილი; ლევან ქისტაშვილი (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან ქუთათიელი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ეკატერინე შაკიაშვილი; თეიმურაზ შენგელიანი; ბიორბი შიხაშვილი; ომარ შუღრა; შაია შულენბაშვილი (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიშვილი; დავით ჩერქაშვილი (ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხაღური (საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარე); ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარბაშვილი; ვასილ ხიზანიანი; მირაბ ხმალაძე; დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ივანე ჯაბოღანიანი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინერო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი) ჯამალუტ ჯანჯღაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯემენია; მიხეილ ჯიბუჭი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი). ნანა ჯღარკაძე.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შესაძლებელია, რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2018წ.  
© გამომცემლობა „ლოი“

ჯანსი 10 ლარი

№2-3(50), 2018 წელი, year



# The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,

PRECISED AND REVIEWED № 2-3(50), 2018

**LOID KARCHAVA** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;  
Doctor of Business Administration, Professor;  
Head of the Council of Scientists of Georgia;  
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;  
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

## EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences); EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI (Director of the European University's Institute of Research of economic and social problems of Globalization); ROSTOM BERIDZE (Batumi state university); KHATUNA BERISHVILI; TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Germany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Prorector of European University); SERGEY YAKUBOVSKIY (Odessa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Germany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAVAZ LORDKIPANIDZE; EKATERINE LOMIA (Head of Department of International Relations); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; MARIAM MGBRISHVILI; NUGZAR NADARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA; TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rector of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELA SVIRAVA; DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University)MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Head of the Georgian Competition Agency); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAIA; MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

საქართველოში THE NEW ECONOMIST

მეცნიერება

ზურაბ ფარესიშვილი - ქართული ჩაის ეკონომიკური პრობლემები, მიზეზები და შედეგები ..... 7

ვასილ ხიზანიშვილი - მესაკუთრე და დაქირავებული მმართველი ..... 13

კობა სოხაძე - ეკონომიკური რენტის სრულყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ ..... 18

ჯემალ სოლოლაშვილი, ლალი ოქროცვარიძე - ტურიზმის განვითარების პერსპექტივები მცხეთის  
მუნიციპალიტეტში ..... 23

ლალი ბუჩუკური - აუდიტორული საქმიანობის ხარისხზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი ..... 28

ნინო ჯიბუტი - სამართლის ეკონომიზაციის შესახებ ..... 31

Ilia Botsvadze - Pros and Cons of Banking Concentration ..... 37

ზურაბ კირკიტაძე - უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვისთვის გატარებული ღონისძიებები და  
მათი შესაბამისობის დადასტურება ..... 46

António dos Santos Mabota - Is democracy incompatible with ubuntu? ..... 55

ალექსანდრე ნაჭყებია - პერსონალის კონტროლინგის ადგილი კონტროლინგის  
საერთო სისტემაში ..... 67

ჩვენი სახელმწიფო თანამემამულეები

თამთა კაპანაძე - ივანე ჯავახიშვილი ..... 72

ლევო ჩიქავა - 90 ..... 74

ახალი წიგნები ..... 79

ქართველოლოგიურ მეცნიერებათა სიახლენი ..... 81

**SCIENCE**

Zurab Paresishvili – Economic problems of Georgian tea Reasons and consequences ..... 7

Vasil Khizanishvili - Proprietor and employed Ruler ..... 13

Koba Sokhadze - Some of the issues of perfection of economic ration ..... 18

Jemal Sologashvili, Lali Okrotskadze - Tourism development prospects in Mtskheta municipality ..... 23

Lali Buchukuri - Analysis of factors affecting the quality of audit activity ..... 28

Nino Djibuti - Relations between Law and Economics ..... 31

Ilia Botsvadze - Pros and Cons of Banking Concentration ..... 37

Zurab Kirkitadze - Passed measures for attraction of FDI and provement of their consistency ..... 46

António dos Santos Mabota - Is democracy incompatible with ubuntu? ..... 55

Alexandre Nachkebia - Personnel Controlling Position in Integrated Controlling System ..... 67

**OUR FAMOUS COUNTRYMEN ..... 72**

**LEO CHIKAVA - 90 ..... 74**

**NEW BOOKS ..... 79**

**NEWS OF KARTVELOLOGY SCIENCES ..... 81**

სხალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



## ქართული ჩაის ეკონომიკური პრობლემები, მიზეზები და შედეგები



ზურაბ ფარესიშვილი,  
სტუ-ს პროფესორი

*სტატიაში მოყვანილი და განხილულია ქართული ჩაის, როგორც სოფლის მეურნეობის დარგის, ისე გადამამუშავებელ მრეწველობაში უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე წამოჭრილი ეკონომიკური პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები დღევანდელი ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე.*

*მოყვანილია ჩაის დარგის განვითარების დიაგრამა 1922-1925 წლებიდან და ჩაის მრეწველობის წარმატებები დიაგრამის სახით, რომელიც მოიცავს 1922-2000 წლების პერიოდს, ასევე სისტემაში გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებისა და სიმძლავრის ზრდის ტემპები 1960-2005 წლის შედეგების მიხედვით.*

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST


კვების პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა დარგობრივი სანედლეულო ბაზის რეალური სექტორის არსებობა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს მაპროფილირებელ რეგიონებში, ბუნებრივ, რელიეფურ და კლიმატურ პირობებს, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და სავარგულების სწორ გადანაწილებას მისი რაციონალურად გამოყენების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნას საწარმოო სიმძლავრეები, ტრადიციული (ვაზი, ჩაი, ხილი, ბოსტნეული და სხვ.) ნედლეულის მიღებით.

სწორედ საკითხის ამ ჭრილში დაყენება გახდა საფუძველი საქართველოსთვის სრულიად ახალი, ჩაის, როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარების, რომელიც XVIII საუკუნის მიწურულში და XIX საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს საქართველოში და პირველად მისი მოშენება დაიწყო სუბტროპიკული კლიმატის პირობების მქონე აჭარისა და გურიის რეგიონებში. ხოლო მომდევნო წლებში ჩაის კულტურის მოშენება და წარმოება დაიწყო იმერეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონებშიც.

საქართველოში მეჩაიეობის განვითარების, შიგა რესურსების (მ.შ. სამეცნიერო) მაქსიმალურმა და ინტენსიურმა გამოყენებამ, ქართული

ჩაის პროდუქციამ დიდი და მნიშვნელოვანი პოპულარობა მოიპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ მთლიანად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ხოლო მომდევნო წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებმაც აღიარა. აღსანიშნავი და ნიშანდობლივია, რომ ჩაის პლანტაციების გაშენება და მზა პროდუქციის წარმოება მოხდა სახელმწიფოს ინიციატივით, რაშიც დიდი როლი ითამაშარუსეთმა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ არ გვიჩვენებს ამ ფაქტების აღიარება, მაგრამ მისი დამალვა ან გაყალბება თეორიულადაც შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ჩაის ინტენსიური უკე სამრეწველო გაშენება საქართველოში გასული საუკუნის 25-30 წლებზე უფრო ადრე დაიწყო და 1913 წლისათვის შეადგინა 900 ჰა, ხოლო ბაიხაოს ჩაის გამომუშავებამ სამ კუსტარულ ფაბრიკაში და რამდენიმე წვრილ მეურნეობაში მიაღწია 131 ტონას. უკვე მომდევნო 1921-1925 წლებში, როდესაც გაიზარდა მოთხოვნილება ქართული ჩაის პროდუქციაზე, საქართველოში აღდგენილი იქნა 101,5 ჰა ჩაის პლანტაცია, ხოლო ახლად გაშენებული იქნა 307 ჰა ჩაის პლანტაცია, რასაც დაემატა გლეხური მეურნეობის საკარმიდამოზე არსებული პლანტაციები, რამაც საბოლოო ჯამში 1925 წლისათვის მიაღწია 1325 ჰა-ს (იხ. დიაგრამა №1).

1. ჩაის პლანტაციების განაშენიანება ჰა-ში სულ 307 ჰა
2. ჩაის პლანტაციების აღდგენა ჰა-ში 101,5
3. გლეხური მეურნეობის საკარმიდამოზე გაშენებული ჩაის პლანტაციები, სულ 916,5 ჰა



დიაგრამა № 1

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ჩაის კულტურისა და გამოშვებული პროდუქციის მზარდმა მოთხოვნამ დღის წესრიგში დააყენა შექმნილიყო სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც უხელმძღვანელებდა დარგს და მის სამომავლო განვითარებას, ამიტომ 1925 წლის ნოემბერში სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ მიღებული და დამტკიცებული იქნა ბრძანებულება საკავშირო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ შექმნასთან დაკავშირებით, ხოლო 1931 წლის 31 ოქტომბრის საკავშირო დადგენილებით მოხდა ამ აქციონერული ორგანიზაციის რეორგანიზაცია, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა „საქართველოს ჩაის“, ტრესტი.

„საქართველოს ჩაი“-ს ტრესტის ჩამოყალიბების შემდეგ მის დაქვემდებარებაში 1925-1928 წლებში შევიდნენ ოზურგეთის, ჩაქვის და ზუგდიდის საცდელი სადგურები, ხოლო მათ მიერ შესრულებულ სამუშაოებს კოორდინირებას უწევდა 1930 წელს შექმნილი საკავშირო მნიშვნელობის ინსტიტუტი, რომელიც მდებარეობდა ოზურგეთში ს. ანასეულში. 1937 წელს აღნიშნული ინსტიტუტი რეორგანიზებული იქნა როგორც ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო ინსტიტუტი და რომელსაც უკვე შეემატა ქ.

სოხუმისა და ქ. ფოთის ფილიალები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულა ჩაის რაიონების ნიადაგობრივ კლიმატური პირობების შესწავლაში, მომზადდა სამეცნიერო კადრები, აგრონომები, მექანიზატორები, ტექნოლოგები, მექანიკოსები, ტიტესტერები და დარგის სხვა სპეციალისტები.

ჩაის კულტურის მოშენება და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება საბჭოთა კავშირის დროს მიმდინარეობდა დამოუკიდებელი გზით, ვინაიდან ანალოგის აღება არავისგან შეიძლებოდა ჩაკეტილი საზღვრებისა და კავშირების გამო. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს საზღვარგარეთის ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში ჩაის პლანტაციების აგროტექნიკური დამუშავებისა და ჩაის ფოთლის გადამამუშავების ტექნოლოგიური პროცესები შესაბამისი ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარებით დაბალ დონეზე იყო და პროდუქციის გადამამუშავება ხდებოდა კუსტარული წესით, ფაქტიურად მაღალი და მძიმე ხელით შრომისა და დიდი რაოდენობით მუშახელის გამოყენებით.


ამრიგად, ქართულმა ჩაიმ გასული საუკუნის ბოლომდე გაიარა ახლის ძიების, შემოქმედებით სავსე და შრომატევადი ძალზედ მძიმე გზა, ხოლო ჩაის მრეწველობამ მისი არსებობისა და



ფუნქციონირების პერიოდში მოიპოვა ღირსეული და სახელოვანი სახელი, ნახევრად კუსტარული წარმოებიდან მაღალი სიმძლავრის თანამედროვე ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებამდე და 2000 წლისათვის რესპუბლიკაში მიიჩნეოდა ერთ-ერთ უდიდეს და წამყვან დარგად კვების მრეწველობის სისტემაში.

„საქართველოს ჩაი“ მაღალი ტექნიკური პოტენციალის გარდა მნიშვნელოვნად და

სოლიდურად გამოიყურებოდა საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისითაც ასე მაგალითად; ჩაის მრეწველობის პროდუქციის ხვედრითმა წილმა საქართველოს მწერველობის საერთო პროდუქციის მაჩვენებელი 2000 წლისათვის შეადგენდა 1875 მლნ მანეთს, ამ პერიოდისათვის პროდუქციის ხვედრითმა წილმა საქართველოს მრეწველობის საერთო მასშტაბით 14,6%-ს მიაღწია, ხოლო კვების მრეწველობის მასშტაბით, 35%-ს (იხ. დიაგრამა №2).




დიაგრამა № 2

საქართველოს ჩაის მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდის ტემპები მლნ მანეთებში 1925-2005 წწ. მიხედვით

„საქართველოს ჩაის“ მრეწველობამ 1985-2000 წლებში ჩაატარა როგორც აღვნიშნეთ უდიდესი სამუშაოები, რათა ქართულ ჩაის დაბრუნებოდა ის დიდება და სახელი, რომელმაც 1972 წლიდან მიიღო დიდი დარტყმა და შეეწირა საქართველოს ცკ-ის მაშინდელ პირველი მდივნის ე. შვეარდნაძის სოციალისტურ შრომის გმირობას და რომელმაც ასეთივე დარტყმა მიაყენა საქართველოს მეღვინეობასაც. მიუხედავად ამისა,

1970-1995 წლებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და ტექნიკური დონის ამაღლებისათვის ჩაის სისტემაში საგრძნობლად იზრდებოდა კაპიტალური დაბანდებები, ასე მაგალითად; თუ 1960-1965 წლებში დარგის განვითარებაზე ათვისებული იქნა 5 მლმ მანეთი, 1996-2000 წლისათვის კაპიტალურმა დაბანდებამ მიაღწია 260 მლნ მანეთს (იხ. დიაგრამა №3).



დიაგრამა № 3  
კაპიტალურ დაბანდებზე გამოყოფილი თანხებისა და გადამამუშავებელი სიმძლავრეების ზრდის ტემპები 1960-2005 წლების პერიოდში

სამწუხაროდ, 2001-2003 წლებიდან იწყება გარდატეხის პერიოდი, რამაც მკვეთრად შეამცირა როგორც ჩაის ფოთლის დამზადების ტემპები, ისე გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების მოცულობა, შესაბამისად დაეცა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი და 170 ათასი ტონიდან ჩამოვიდა 8,5 ათას ტონამდე ანუ 2005 წლისათვის უმოქმედო პირობებში აღმოჩნდა სიმძლავრეთა 94,75% და, შესაბამისად დაეცა და შემცირდა ყველა სახის ტექნოეკონომიკური მაჩვენებლები, ხოლო 2015-2016 წლებში გამომუშავებულმა პროდუქციამ,

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით შეადგენდა 2 ტონას, ანუ ამ პერიოდისათვის ფაქტიურად დაკარგული და მთლიანად განადგურებულია სიმძლავრეთა 99,9%. რაც შეეხება თითო-ორულა მეწარმეს, რომელიც ვითომდა აწარმოებს ჩაის პროდუქციას, არსად ფიქსირდება.

ისმის ძალზე სერიოზული და რიტორიკული კითხვები!!! რამ გამოიწვია ჩაის დარგის და განსაკუთრებით ჩაის წარმოების ასეთი დეგრადაცია და სად არის მიზეზთა ის ჩახლართული რგოლი,

რომლის გაშლა არავის სურს ან არ შეუძლია, რათა გამოაჩინოს და გამოააშკარავოს მიზეზთა მთელი ჯაჭვი.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შექმნილმა ცნობილმა პოლიტიკურმა ვითარებამ და მოქმედმა სიტუაციებმა, საქართველოს მოუტანა დამოუკიდებლობა. ეს ფაქტი დიდად მისასალმებელი და საოცნებო იყო ქართველი ხალხისათვის, მაგრამ ამ ისტორიულ მოვლენას საქართველო როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე სტრატეგიული თვალსაზრისით მოუმზადებელი შეხვდა. სამწუხაროდ, ფაქტი სახეზეა. იმდროინდელ და შემდგომი პერიოდის სახელისუფლებო და საპრეზიდენტო სტრუქტურებმა ნაჩქარევ და ემოციურ ფონზე ვერ გააკეთეს დამოუკიდებელი ქვეყნისათვის აუცილებელი და სასიცოცხლო სოციალურ-ეკონომიკური გათვლები, რომელიც საჭირო იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესებში, რის გამოც დაშვებული იქნა გამოუსწორებელი შეცდომები, რომელსაც დღეს ვიმკით და მის გამოსასწორებლად რეალური პერსპექტივა არ ჩანს.

ამას დაემატა ყველა დროის ხელისუფლებაში მოსული არაკომპეტენტური, დაბალი კვალიფიკაციის, გამოუცდელი ე. წ. დემაგოგ „სპეციალისტების“ აღზევება ანუ საკადრო პოლიტიკის სრული კრაზი, რაც დღემდე გრძელდება. გაჩნდა კრიმინალური და მტაცებელი (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ორგანიზაციები და პარტიები, მ.შ. მხედრონი, მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა და სხვა, რომლებმაც ყოვლად დაუფიქრებლად და საქმეში ჩაუხედავად მიიღეს გადაწყვეტილება სახელმწიფოს კუთვნილი მოძრავი და უძრავი ქონების მყისიერი პრივატიზაცია, რაც (გამოვიყენებ რუსულ ტერმინს) „პრივატიზაციაში“ გადავიდა.

1990 წლიდან მოყოლებული დღემდე, ყველა დროის ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა საბაზრო ეკონომიკის ძირითადი და საკვანძო მოთხოვნები, ანტიმონოპოლიური თავისებურებანი და პროცესები მთლიანად მიანდეს ბაზარს, რომელიც პოსტსაბჭოთა კავშირის სისტემაში ცხოვრების პირობებში უცხო იყო ჩვენი ქვეყნისათვის. პრივატიზების ანუ „პრივატიზაციის“ ასეთმა დრაკონულმა მეთოდებმა დააზარალა საზოგადოება და საქართველოს მრეწველობის პრაქტიკულად ყველა დარგი, რასაც ვერ გადაურჩა აგრარული სექტორიც და, კერძოდ, მეჩაიეობა.

ძალადობით ხელში ჩაგდებული ჩაის, როგორც პირველადი, ისე მეორადი გადამუშავების ფაბრიკები მ.შ. თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმო იყო

საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ჯართად იქნა გაყიდული. ჩაის ფაბრიკებში მუშა მდგომარეობაში არსებული უმეტესი ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები თურქეთში აღმოჩნდა, რასაც დღესაც წარმატებით ამუშავებენ თურქი სპეციალისტები და არა მარტო დანადგარებს, არამედ თურქეთში ჩაის საკრეფად წასულ, მონებად ქცეულ ჩვენს თანამემამულეებს.

მომე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს მეჩაიეობის რეგიონების, სოფლის მეურნეობაში ერთ დროს დასაქმებული მოსახლეობა. იმდენად რამდენადაც მათთვის გაუცხოებულ სიტუაციაში, საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთების დამუშავებისა და მოვლა-პატრონობის არავითარი პირობები არ იქნა გათვალისწინებული და ეს საკითხი დღემდე ქაოსურ და გაუგებარ სიტუაციაშია.

უფრო მეტიც, სოფლის მოსახლეობამ დაიწყო მათზე ე.წ. პრივატიზებული ნაკვეთების გაყიდვა და სანაცვლოდ ამორტიზებული და საზღვარგარეთიდან შემოყვანილი ძველი მანქანების ყიდვა, დღეს კი არც მიწის ნაკვეთი და ჯართად ქცეული მანქანები აღარ შემორჩათ.

როგორც აღვნიშნეთ, 1990-2005 წლებში არასწორი და მოუმზადებელი ეკონომიკური ვაირეფორმების განხორციელებისას უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული სახელმწიფოს მიერ, კერძოდ:

- ქართული ჩაის მრეწველობა ამ პერიოდისათვის პრაქტიკულად ეკონომიკური განადგურების ფაზაში იმყოფებოდა, რაც ერთ-ერთ მთავარ მიზეზად არსებული საკადრო პოლიტიკის მყისიერი უარყოფა და შეცვლა იყო, რაშიც აქტიური როლი და ადგილი ეკავა იმდროინდელ ხელისუფლებას. დარგში შემოვიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ჩაისთან და საერთო მრეწველობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, რასაც მხარს უჭერდნენ ახლადწამოჩენილი „ვითომდა“ დარგის ხელმძღვანელები. ახალმა ვაისპეციალისტებმა მათი არაკომპეტენტურობისა და დაბალი კვალიფიკაციის გამო თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ საქმეს, ამან კი დააზარალა ჩაის მრეწველობა;

- კრიმინალურ დონეზე იქნა ჩაის ფოთლის როგორც პირველადი გადამამუშავებელი, ისე დამფასოებელი ფაბრიკების ნულოვან აუქციონზე გაყიდვა-პრივატიზება და ისიც კუპონებზე;

- პრაქტიკულად არ იქნა გათვალისწინებული, პრივატიზირებული საგლეხო სამეურნეო მიწებზე არსებული პლანტაციებიდან მოკრეფილი ნედლეულის ტრანსპორტირების, შენახვის, ხარისხის განსაზღვრის და პირველადი გადამამუშავების ფაბრიკაზე ჩაბარების მექანიზმი

და სტრუქტურა. არ იქნა დამუშავებული ერთიანი შეყიდვის სისტემა მოკრეფილ ჩაიზე ხარისხების მიხედვით;

- არ იქნა გათვლილი იმ ეკონომიკურად მძიმე პერიოდისათვის ენერგორესურსებზე და საწვავზე გაზრდილი ფასები, რომელიც საჭირო იყო ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად, რამაც გამოიწვია ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა და ისედაც დაბალი ხარისხის ნედლეულიდან უხარისხო და არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება და შესაბამისად ფასების გაზრდა, რასაც დაემატა პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე რუსეთის ტრადიციული ბაზრების დაკარგვა;

- სახელმწიფოს მხრიდან სისტემატურად ხდებოდა ზერელე დამოკიდებულება (ამისათვის არავის ეცალა) მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის მიმართ. დარგის გადარჩენის მიზნით, ხელისუფლებისა და მთავრობის მიერ მიღებული საფინანსო-ეკონომიკური ღონისძიებები არ შეესაბამებოდა ცხოვრებისეულ რეალობას და პიარს უფრო გავდა, ვიდრე საქმიან გადაწყვეტილებას. აქვე უნდა აღინიშნოს, კომპეტენტური ორგანიზაციების და პირების პასიურობაც;

- უდიდეს დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მიერ არასწორი პოლიტიკის გატარება პრივატიზირებულ მიწებზე,

ჩაის ბუჩქის ამოძირკვისა და მის სანაცვლოდ გლეხობისათვის სხვა კულტურების შეთავაზება, სადაც არ იყო გათვალისწინებული ნიადაგობრივ-კლიმატური და რელიეფური პირობები, მოშენებისა და მოვლა-პატრონობის ტექნიკური რესურსები. შედეგად, ჩაის ნაცვლად მივიღეთ უთავბოლოდ და უსისტემოდ თხილის და სხვა კულტურების ჩანაცვლება. შედეგი კატასტროფულია.

სამწუხაროდ, მეჩაიეობაში განვითარებულმა უსუსურმა და დამანგრეველმა ეკონომიკურმა რეფორმამ, მეჩაიეობის რეგიონებში მკვეთრად გააუარესა საერთო ეკონომიკური მაჩვენებელი, ხოლო უმეტეს რაიონებში თითქმის ნულამდე დაეცა. ასეთმა უპერსპექტივოდ განვითარებულმა მოვლენებმა შესაძლებელია რეალურად იდეაშიც კი საბოლოოდ მოსპოს დარგი (საქმე აქეთკენ მიდის ან მიჰყავთ) და შეიძლება სულ მალე დადგეს ის დრო, როდესაც საქართველოში აღარ იქნებიან მეჩაიეობის დარგის აგრონომები, მექანიზატორები, მექანიკოსები, ტექნოლოგები, ტიტესტერები და სხვა, რომელთა მოწვევა შესაძლებელია საზღვარგარეთიდან მოგვიწიოს.

ნუ ვიყურებით უცხოეთისკენ და მდიდარი ინვესტორებისაკენ, ჩვენს საკუთრებას ჩვენ უნდა მივხედოთ და ეს სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შევიდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. კუნჭულია, შ. კვიციანი, ზ. ბუკია. „ქართული მეჩაიეობა (უახლოესი წარსული)“, გამომც. „მწიგნობარი“, ქ. თბილისი, 2017.
2. კ. სოხაძე, ზ. ფარესიშვილი - „ბაზრის ანტინომოპოლიური რეგულირება“. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, ქ. თბილისი, 2013 წ.
3. კ. სოხაძე - „ჩრდილოვანი ეკონომიკა, კორუფცია და კრიმინალური ეკონომიკა“. ჟ. „ახალი ეკონომისტი“, №3-4, ქ. თბილისი, 2007 წ.
4. ზ. ფარესიშვილი - „სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწვე-ლო-ბის პერსპექტივები და ეკონომიკური ასპექტები“, ჟ. „მიჯნა“, №1-2, ქ. თბილისი, 1999 წ.
5. ზ. ფარესიშვილი - „როგორ ავამუშაოთ ქართული მრეწველობა (რეალობა თუ მითი?!)“ <http://www.tiner.ge/rogor-avamushaort-qartuli-mretsveloba-realoba-thu-mithi/> ქ. თბილისი, 2015 წ.
6. ზ. ფარესიშვილი, ლ. კობახიძე - „ქართული ჩაის განვითარების ტექნო-ეკონომიკური ასპექტები“. სტუ, სსსა. საერთაშორისო კონფერენცია „კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები“, შრომათა კრებული. ქ. თბილისი, 2016 წ.
7. ზ. ფარესიშვილი - „ქართული ჩაის რეტროსპექტივა“, გაზ.: „რეზონანსი“, №293(9003), 22 დეკემბერი, 2017 წ.

Economic problems of Georgian tea  
Reasons and consequences

Zurab Paresishvili,  
GTU Professor

Summary

The article studies the economical problems faces during the east decade in Georgia concerning tea cultivation and pressing, proceeding from the present situation.



## მესაკუთრე და დაქირავებული მმართველი



ვასილ ხიზანიშვილი  
 სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,  
 იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
 სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი  
 ელ.ფოსტა: basil.khizanishvili@yahoo.com

*<<პრინციპალ-აგენტის>> პერსპექტივიდან, მენეჯმენტის ეთიკის კონტექსტში განსაკუთრებული პრობლემაა აქციონერებსა და მენეჯერებს შორის დამოკიდებულების ასპექტი. კერძოდ, თუკი აქციონერებს სურთ მენეჯერთა ქცევის გაკონტროლება იმისათვის, რომ მიიღონ დიდი სარგებელი, მენეჯერებს ჩვეულებრივ გააჩნიათ შემდეგი ინტერესი: უზრუნველყონ პირადი სარგებლის მაქსიმიზაცია. ეს მდგომარეობა ავტომატურად წარმოშობს კონკრეტულ ინტერესთა კონფლიქტებს.*

*მის საპირისპიროდ არსებობს ე.წ. Stewardship-Theory (მმართველობითი თეორია), რაც გაიაზრება ზემოთ ნახსენები თეორიის ალტერნატივად. ე.წ. Stewardship-Theory გულისხმობს მენეჯერის წმინდა ეგოიზმის ძლევას სტიუარდის(მმართველის) პრო-სოციალური ქცევებით.*

*თუმცა ე.წ. Stewardship-Theory ალბათ უფრო იდეალისტურია. ბიზნესის სამყაროში არსებობს მრავალი კორპორატიული სკანდალი, რაც უკავშირდება მენეჯმენტის უპასუხისმგებლო და ეგოისტურ ქცევებს.*

მენეჯმენტის ეთიკის კონტექსტში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მენეჯერის დამოკიდებულების საკითხი თავის შემკვეთებთან, ე.ი. კომპანიის აქციონერებთან. ამასთან, კომპანიის მესაკუთრის პერსპექტივიდან ჩნდება სპეციფიკური საყურადღებო პრობლემა, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ ინვესტორისთვის მხოლოდ პირობითად არის შესაძლებელი, მენეჯერთა ქცევის თავის სასარგებლოდ გაკონტროლება. ე.წ. <<პრინციპალ-აგენტის-თეორიის>> პერსპექტივიდან ინვესტორისა და მესაკუთრის მიერ დანიშნულ მენეჯმენტს კომპანიის მართვისას პირველ რიგში პრინციპულად აინტერესებს პირადი სარგებლის მაქსიმიზაცია. გამომდინარე აქედან, საჭიროა კონკრეტული საზედამხედველო მეთოდები და სტიმულთა სისტემები, რათა მოხდეს მენეჯმენტის იმგვარი წახალისება, რომ დაცული იქნას შემკვეთის ინტერესები. აქვე, როგორც კომპანიის მესაკუთრე(Principal), ისე მისი რწმუნებით მოქმედი მენეჯერი(Agent) შესაძლოა დანახულ იქნეს როგორც მკაცრად რაციონალურად მოქმედი სარგებლის მაქსიმიზატორი. შესაბამისად, ორივე მხარე მუდამ ცდილობს საკუთარი ინტერესების მეორე მხარის საპირისპიროდ განხორციელებას. ამასთან, ინფორმაციული ასიმეტრიები მხარეთა ნამდვილ უნარებსა და ზრახვებთან დაკავშირებით

ართულებს მათი ქცევის ფორმათა ადეკვატური შეფასების შესაძლებლობებს. მაშასადამე, მაშინ როდესაც ინვესტორი დაინტერესებულია საკუთარი ინვესტიციების შესაძლო მაღალი სარგებლის მიღებით, მისგან რწმუნებულ აგენტს უწინარესად აინტერესებს საკუთარი კეთილდღეობის მაქსიმიზაცია, მაგ., შემოსავლები თუ ძალაუფლება,- რის შედეგადაც წარმოიქმნება კონკრეტული ინტერესთა კონფლიქტები.

პრინციპალის პერსპექტივიდან ჩნდება ორი ძირითადი სირთულე: პირველი, მან ბიზნესის სამართავად შეიძლება დანიშნოს შეუფერებელი აგენტი ან იმიტომ, რომ მას შეუძლია მხოლოდ აგენტის უნარების პირობითად შეფასება, ან იმიტომ, რომ აგენტი მას, ანუ პრინციპალს არ ამცნობს თავის რეალურ ზრახვათა შესახებ, ანდა შეგნებულად აწვდის მცდარ ინფორმაციას. მეორე, მან ისიც უნდა დაუშვას, რომ მის მიერ დანიშნული აგენტი შეეცდება საკუთარი ინტერესების განხორციელებას პრინციპალის ინტერესების საპირისპიროდ, რაც არანაკლებ შეუწყობს ხელს იმ გარემოებას, როცა პრინციპალს ყოველთვის არ შეეძლება აკონტროლოს აგენტის თითოეული ქმედება, ან სწორად შეაფასოს მისი შედეგები. ასე რომ, იმისათვის რათა უზრუნველყოფილი იქნას აგენტის მიერ პრინციპალის მიზნისა და სურვილის შესაბამისად მოქმედება, ამ უკანასკნელს რჩება ორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შესაძლებლობა: ერთი მხრივ, მას შეუძლია სცადოს კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების დანერგვა, რამაც უნდა უზრუნველყოს აგენტის მართებული ქცევები; და მეორე მხრივ, მას შეუძლია შესაბამისი (ფულადი) დაჯილდოებისა და გრატიფიკაციის სისტემების იმპლემენტირებით შექმნას აგენტისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი სტიმულები, რაც ამ უკანასკნელის მხრიდან გახდება პრინციპალისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანის საფუძველი[1].

მიუხედავად იმისა, რომ პრინციპალ-აგენტის თეორიაში ზოგიერთი ავტორი ხედავს საყოველთაო სოციალურ თეორიას, რაც იძლევა საშუალებას, რომ კონტროლის პრობლემები კომპლექსური ურთიერთობების სისტემის ფარგლებში გაანალიზდეს და გადაიჭრას[2], პრინციპალ-აგენტის თეორიის ფარგლებში homo oeconomicus-ზე ორიენტირებული ადამიანურ ქცევათა ხედვა თავიდანვე მაინც არ ყოფილა საკამათო. ამგვარად, ორგანიზაციის კვლევის წარმომადგენლები მიანიშნებენ იმაზე, რომ აქტიორები თავისი ქცევებით არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ისეთი არამატერიალური ანუ შინაგანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასაც კი ცდილობენ, როგორცაა ღირებულებათა შეფასების სურვილი, თვითრეალიზაციისაკენ ლტოლვა ან საკუთარი ავტონომიის დაცვა-შენარჩუნება. შესაბამისად, ადამიანური ქცევა არც მხოლოდ წმინდა პირადი სარგებლიანობის მაქსიმიზაციით შემოიფარგლება, და არც მხოლოდ გარე სტიმულებით ხდება მისი მართვა[3]. გარდა ამისა, სტეიკჰოლდერის თეორიის მხარეს არსებობს გარკვეული მიუღებლობაც იმასთან დაკავშირებით, რომ თუმცა ინვესტორი წარმოადგენს კომპანიის მნიშვნელოვან სტეიკჰოლდერს, მენეჯმენტი თავის გადაწყვეტილებებში მაინც არ უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ მის ინტერესებს. დაბოლოს, დასავლელ სწავლულთაგან გამორჩეულად პროფ. სუმანტრა გოშალი ყოველთვის გამოდიოდა ამ მართლაც წმინდა ფუნქციონალისტური შეხედულების ნორმატიული გაზვიადებისაგან თავის შეკავების მოწოდებით. ამგვარი თეორიის იდეოლოგიზაცია დაიყვანება მენეჯმენტის ამორალურ შეხედულებამდე და ამგვარად, მუდმივად ქრება მორალური პასუხისმგებლობის დიმენსია[4].

პრინციპალ-აგენტის თეორიის საპირისპირო მონახაზს ასახავს ე.წ. Stewardship-Theory[5]. პრინციპალ-აგენტის თეორიის პირად სარგებლიანობაზე ორიენტირებული homo oeconomicus -ის შორსმიმავალი ჰიპოთეზის

საწინააღმდეგოდ, ის გამოყოფს მენეჯმენტის უნარს პრო-სოციალურ ქცევებთან მიმართებით, მის შინაგანი მოტივაციას, ისევე როგორც აქედან აღმოცენებად პოზიტიური იმპლიკაციებს კომპანიის სტეიკჰოლდერული ურთიერთობებისთვის. ე.წ. Stewardship-Theory-ის აზრით მენეჯერი გაიაზრება არა როგორც აგენტი, რომელიც უწინარესად პირადი ინტერესების რეალიზებით არის დაკავებული, არამედ როგორც უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომლის მიზანია, იმოქმედოს თავისი დამკვეთის სასიკეთოდ და წინდახედულად განკარგოს მისი ქონება[6]. ამასთან, აქედან გამომდინარეობს, რომ სხვათა სასიკეთოდ მოქმედება მენეჯერისთვის, როგორც მმართველისთვის უფრო მეტი სიკეთის მომტანია, ვიდრე პირად ინტერესს გამოდევნება, რითაც შესაძლო ინტერესთა კონფლიქტები მმართველსა და დამკვეთს შორის, ზოგადად წყდება დამკვეთის სასარგებლოდ. მმართველობის თეორიის პერსპექტივიდან დამკვეთს არა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ქონების მაქსიმალური სარგებლიანობა, არამედ, პირველ რიგში საკუთარი კომპანიის კეთილდღეობა აინტერესებს. აქედან გამომდინარე, მხოლოდ მსგავს ვითარებაში არსებობს გარკვეულ ინტერესთა ჰარმონია მმართველსა და დამკვეთს შორის[7].

იმისდა მიხედვით, თუ რომელი ჰიპოთეზა უდევს საფუძვლად მენეჯერებსა და კომპანიის მესაკუთრეთა შორის არსებულ ურთიერთობებს, ორივე მხარეს შორის წარმოიქმნება განსხვავებული მოთხოვნები ხელშეკრულებით ურთიერთობებთან მიმართებით, გადასაცემ თავისუფალ სივრცესთან და მენეჯმენტის ამოცანების სპექტრთან დაკავშირებით. პირველ რიგში ეს ეხება შემდეგ დიმენსიებს: (1)ავტონომია vs კონტროლი; (2) შინაგანი მოტივაციები vs გარეგანი მოტივაციები; (3) ძლიერი იდენტიფიკაცია vs სუსტი იდენტიფიკაცია; (4)წინააღმდეგობა ორგანიზაციულ და პერსონალურ ავტორიტეტთა ურთიერთობებს შორის; (5) შეაჰოლდერების ორიენტაცია სტეიკჰოლდერების ორიენტაციის წინააღმდეგ.

(1)ავტონომია vs კონტროლი

პრინციპალ-აგენტის თეორიის საპირისპიროდ, რომელიც აგენტის მაქსიმალური კონტროლის საჭიროებიდან ამოდის, და რომლის მოხედვითაც მხოლოდ ასე შეიძლება არასასურველ ქცევათა ალბათობის შემცირება, მმართველობითი თეორია ეფუძნება დაქირავებულის მაქსიმალური შესაძლებლობების სამოქმედო სივრცეს. აქ მმართველი თავისთავად მოტივირებული საუკეთესოდ ემსახუროს თავის დამქირავებელს, გრძნობს საკუთარ ქმედებათა თავისუფლების

შეზღუდვას, ზოგადად, როგორც ავტონომიის დაკარგვას, რაც ნეგატიურად ზემოქმედებს მის მოტივაციაზე[8]. თუმცა, აქ მინიჭებული ნდობის ავანსი ასევე ასახავს გაზრდილ რისკებს დამქირავებლისათვის, რომელსაც კომპანიის მართვისას მუდმივად უდგა ოპტიმალური კანდიდატურის შერჩევის პრობლემა. მაშასადამე, რაც უფრო ფრთხილია დამქირავებელი რისკებთან მიმართებით, მით უფრო მეტად ხელმძღვანელობს ის პრინციპალ-აგენტის თეორიის ჰიპოთეზებით და შესაბამისი მონიტორინგისა და კონტროლის სტრუქტურებით ცდილობს შეზღუდოს დაქირავებულის მოქმედების შესაძლებლობები. და პირიქით, რისკავს მეტისმეტად მინდობი დამქირავებელი, რომელიც ტყუვდება დაქირავებულის პიროვნებაში და ბიზნესის სამართავად რწმუნებული პრო-სოციალური მმართველის ნაცვლად მას ხელში რჩება ანგარებაზე ორიენტირებული აგენტი. [7, გვ. 25]

(2) შინაგანი მოტივაციები vs გარეგანი მოტივაციები

პრინციპალ-აგენტის თეორიის პერსპექტივიდან პირველ რიგში არის გარეგანი სტიმულები, რომლებიც გავლენას ახდენს აგენტის ქცევებზე და დამქირავებლის მხარეს ძალუძს მათი სასურველი გზით მიმართვა. შესაბამისად, მას მიეკუთვნება აგენტთან ფულადი ჯილდოს ფორმით (როგორცაა ბონუსი და გრატიფიკაცია) ურთიერთობა კომპანიის წარმატებაში მონაწილეობისთვის, რამაც უნდა უზრუნველყოს მისი, როგორც დაქირავებულის ქცევათა თანხვედრა პრინციპალის სარგებლის მიღების მოლოდინებთან. ამის საპირისპიროდ, მმართველობით თეორიას უმთავრესად საფუძვლად უდევს აქტიორის შინაგანი მოტივაცია. ამ თვალსაზრისით, მმართველის მოტივატორები თავის ქმედებებში უწინარესად არის პერსონალური წარმატების ორიენტაცია, ინდივიდუალური მოვალეობის გრძნობა, კომპანიის წევრობის განცდა, მისი სწრაფვა თვითრეალიზაციისკენ, თვითგამოვლენის მუდმივი სურვილი და მისი პერსონალური იდენტიფიცირება კომპანიის მიზნებთან(იხ.[7], გვ. 28 და [8], გვ. 308). ამასთან დაკავშირებით პროფ. ჰერნანდესი საუბრობს <<ფსიქოლოგიური მფლობელობის>>(psychological ownership) შესახებ, რაც აიძულებს მმართველს, მოიქცეს როგორც კომპანიის <<მესაკუთრე>> და საკუთარსურვილით ხელი შეუწყოს ორგანიზაციის კეთილდღეობის მიღწევას და მას დაუქვემდებაროს საკუთარი ინტერესები[9]. თუმცა, კომპანიის მიზნებთან მსგავსი უსიტყვო იდენტიფიკაცია ზოგჯერ იმგვარ ხარისხს აღწევს, რომ მმართველის

უნარიანობა, საკუთარი მორალური მრწამსის თანახმად კრიტიკული დისტანციიდან მოახდინოს კომპანიის ფასეულობებისა და მიზნების განსჯა-შეფასება, - შეიძლება დაიკარგოს.

(3) ძლიერი იდენტიფიკაცია vs სუსტი იდენტიფიკაცია

პრინციპალ-აგენტის თეორიის ჰიპოთეზის თანახმად, აგენტი ძლივს იდენტიფიცირდება ორგანიზაციასთან, რომელშიც ის მუშაობს. რადგან მისი ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ წარმატებული მონაწილეობით არის გარანტირებული, ამიტომ მატერიალურ სტიმულებზე დაფუძნებული შრომითი მზაობის გარდა, მმართველი თავის საქმიანობას უკავშირებს კომპანიის წარმატებებს, რადგან ეს მისი პერსონალური მოგების მიღების მოლოდინებთანაა შესაბამისობაში. კომპანიის წარუმატებლობის შემთხვევაში კი პირიქით, ის ცდილობს დამდგარი ნეგატიური შედეგის გამართლებას ან სხვაზე გადაბრალებას, რათა ამით საფრთხე არ შეექმნას საკუთარი მოგების მიღების მოლოდინებს. ამის საპირისპიროდ, მმართველობით თეორიაში, მმართველი (Steward) უწინარესად თავს ვალდებულად თვლის მთელი ორგანიზაციის წინაშე. საკუთარი შრომის განუხრელად გასაუმჯობესებლად ის საჭიროდ მიიჩნევს ორგანიზაციაში ნაკლოვანებების აღმოფხვრას, სისუსტეების დაძლევას, პრობლემების ორგანიზაციის სასიკეთოდ გადაჭრასა და შეცდომების გამოსწორებას. ამასთან, საკუთარი მონეტარული ინტერესების გამოდევნების ნაცვლად, მმართველი მოქმედებს ორგანიზაციის მიზნებისთვის, რომელთანაც ის საკუთარ თავს აიგივებს. <<თავის>> კომპანიასთან იდენტიფიკაციის ამგვარი მაღალი მასშტაბი გამოხატულებას პოულობს ერთი მხრივ, კომპანიაში ხანგრძლივად დარჩენის მისწრაფებასა და მეორე მხრივ, ორგანიზაციის მიზნების მიღებაში, რომელთა რეალიზაციის ხელშეწყობასაც ის საკუთარ ამოცანად სახავს[10].

(4) ორგანიზაციულ და პერსონალურ ავტორიტეტთა ურთიერთობა

პრინციპალსა და აგენტს შორის დამოკიდებულება ხასიათდება ფორმალური ძალაუფლების ურთიერთობით, რაც პრინციპალის პოზიციის საფუძველზე წარმოიქმნება. ის ფლობს სულ მცირე თეორიულ ძალაუფლებას აგენტის ქცევის <<დასაჯარიმებლად>> თუ <<დასაჯილდოვებლად>> და სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარჩო-წესრიგით ასახავს ლეგიტიმურ ავტორიტეტს, რომელიც აგენტის

მხრიდან უნდა იქნას პატივცემული. ასე რომ, პრინციპალს შესაბამისი მასტიმულირებელი სისტემების (მაგ., გრატიფიკაციები) იმპლემენტაციით, თავისი ინსტიტუციონალური ძალაუფლების რწმუნებულებით (მაგ., ინფორმაციულ წვდომაზე უფლებით) და მაიპულებელ საშუალებათა გამოყენებით (მაგ., მუქარა სამსახურიდან დათხოვნის შესახებ) შეუძლია მართოს აგენტის ქცევები. ამის საპირისპიროდ, პრინციპალსა და სტიუარდს (იგივე მმართველს) შორის დამოკიდებულება პირველ რიგში ემყარება პრინციპალის პერსონალური ავტორიტეტის აღიარებას სტიუარდის მიერ. ეს ერთი მხრივ ეფუძნება პრინციპალის პროფესიულ კომპეტენციებს (მაგ., როგორც კომპანიის დამფუძნებელი) და მეორე მხრივ - როგორც პიროვნების(პიროვნულობის) ურთიერთაღიარებასა და პატივისცემას. რადგან პრინციპალის ავტორიტეტი არა მხოლოდ მისი ორგანიზაციული მდგომარეობიდან და ფორმალური ძალაუფლების რწმუნებულებით წარმოიქმნება, არამედ უწინარესად ასევე ემყარება პერსონალურ რესპექტს, ამიტომ პრინციპალი-აგენტისაგან განსხვავებით, პრინციპალი-სტიუარდის ურთიერთობები დროთაგანმავლობაში ხასიათდება არსებითი სტაბილურობით. [7, გვ. 31].

(5)შეაპოლდერული ორიენტაცია vs სტეიკჰოლდერული ორიენტაცია  
 პრინციპალ-აგენტის თეორიის პერსპექტივიდან აგენტის ამოცანას თავისი პრინციპალის დავალებით წარმოადგეს სკუთარი კაპიტალის მაქსიმალური ზრდით მიღებისათვის ზრუნვა. სწორედ ამით, ძალზედ ცხადი <<შეაპოლდერული ორიენტაციით>> განისაზღვრება აგენტის ქმედება, რომელიც პრინციპალის მხრიდან განსახორციელებელი მართვისა და სტიმულის სისტემებით ხდება ხელშეწყობილი. ამის საპირისპირო შეხედულებას წარმოადგენს ე.წ. Stewardship-Theory (მმართველობითი თეორია), რისი მიხედვითაც ორივე მხარე პირველ რიგში ორგანიზაციის კეთილდღეობით არის დაინტერესებული. შესაბამისად, სტიუარდს უწინარესად მოეთხოვება არა ის, რომ გააჩნდეს ვალდებულება პრინციპალის მონეტარული ინტერესების მიმართ, არამედ - საკუთარი აქტივობები მიმართოს თავისი პრინციპალის მიზნებთან თანხმობისკენ, მთლიანი ორგანიზაციის

გრძელვადიანი კეთილდღეობისაკენ. ამიტომ, სტიუარდისთვის პრინციპალი იმყოფება არა <<სისტემის>> გარეთ, არამედ მისგან აღიქმება იმ კოლექტივის ნაწილად, რომლის კეთილდღეობისთვისაც ის ზრუნავს(იხ. [7], გვ. 29). ასევე, არა მხოლოდ თავისი პრინციპალის მიმართ გრძნობს სტიუარდი პასუხისმგებლობას, არამედ - მაგ., კომპანიის თანამშრომლების, მომწოდებლებისა და მომხმარებლების მიმართაც: წმინდა შეაპოლდერული ორიენტაციის ადგილს იკავებს სტეიკჰოლდერული ორიენტაცია, როგორც მენეჯმენტურ ქცევათა საფუძველი(იხ. [9], გვ. 122).

თუმცა, ე.წ. Stewardship-Theory გაიაზრება პრინციპალ-აგენტის მიდგომის ალტერნატივად და მენეჯერის შესახებ არსებულ ცალსახა შეხედულებად, რაც წმინდა ეგოიზმის ოპტიმიზატორის რეალისტური ადამიანური ხატით დაძლევაში მდგომარეობს, სადაც ის ხაზს უსვავს თავის ზოგად უნარებს, როგორცაა პროსოციალური ქცევები, სხვათა მიმართ რესპექტი, ლოიალურობა და თვითვალდებულება, - ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ შესაძლებელია კრიტიკული მოსაზრებების წინ წამოწევა. ამასთან, არსებობს დამჭირავებელ-დაქირავებულს შორის დამოკიდებულების განსაკუთრებით პოზიტიური შეხედულება, რომელშიც ვლინდება მმართველობითი თეორიის შესაძლო სისუსტეები. ასე მაგალითად, მასში ადგილი აქვს მუდმივ კერძო ინტერესთა, ინტერესთა კონფლიქტისა და ინფორმაციული ასიმეტრიულობის ურთიერთშერწყმას, რასაც პრინციპალისა და სტიუარდის ურთიერთობებისთვის სრულად ძალუძს ზიანის მიყენება. გარდა ამისა, ე.წ. Stewardship-Theory უშვებს შორსმიმავალ ინტერესთა ჰარმონიას სტიუარდსა და კომპანიის შიდა და გარე სტეიკჰოლდერებს შორის, რაც გამოხატულებას პოულობს სტიუარდის მიზნის რეალიზაციაში, საკუთარი ძალისხმევით უზრუნველყოს თანამშრომელთა, გარე სტეიკჰოლდერთა და საზოგადოების, როგორც მთლიანის გრძელვადიანი კეთილდღეობა. თუმცა, ფაქტობრივ მენეჯმენტურ ქცევათა ანალიზისას ამ მიდგომის ძლიერ იდეალისტურ დასაბუთებაში შესაძლებელია დაეჭვება, თუ გავიხსენებთ, რომ მრავალი კომპანიის სკანდალის მიზეზი სწორედ მენეჯმენტის უპასუხისმგებლო და ეგოისტური ქმედებები გამხდარა.





გამოყენებული ლიტერატურა:

1. B. S. Frey, M. Osterloh., *Managing Motivation.*, Gabler Verlag: Wiesbaden. 2002, გვ. 111
2. B. M. Mitnick, *Agency Theory.*, Werhane, Patricia H./Freeman, Edward R.(Edit.): *Encyclopedic Dictionary of Business Ethics.* Blackwell Publishing: Malden, MA., 1998, გვ. 12
3. Ch. Argyris, *Some Limits of Rational Man Organizational Theory.*, *Public Administration Review*, 33, 1973, გვ. 253
4. S. Ghoshal, *Bad Management Theories Are Destroying Good Management Practices.*, *Academy of Management Learning & Education*, Vol.4(1), 2005, გვ. 75-91
5. R. Albanese, T. M. Dacin, I. C. Harris., *Agents as Stewards.*, *Academy of Management Review*, Vol. 22(3), 1997, გვ. 609-611
6. L. Donaldson, *The Ethereal Hand: Organizational Economics and Management Theory.*, *Academy of Management Review*, Vol. 15(3), 1990, გვ. 377
7. J. H. Davis, D. F. Schoormann, L. Donaldson., *Toward a Stewardship Theory of Management.*, *Academy of Management Review*, Vol. 22(1), 1997, გვ. 24
8. L. Donaldson, *Ethics Problems and Problems with Ethics: Toward a Pro-Management Theory.*, *Journal of Business Ethics*, Vol. 78(3), 2008, გვ. 308
9. M. Hernandez, *Promoting Stewardship Behavior in Organizations: A Leadership Model.*, *Journal of Business Ethics*, Vol. 80(1), 2008, გვ. 126
10. R. C. Mayer, F. D. Schoorman., *Predicting Participation and Production Outcomes through a Two-Dimensional Model of Organizational Commitment.*, *Academy of Management Journal*, Vol. 35(3), 1992, გვ. 672

Proprietor and employed Ruler

Vasil Khizanishvili  
 Doctor of Social Sciences in Economics,  
 Assistant Professor of Iakob Gogebashvili Telavi State University

From the perspective of the <<principal-agent theory>>, in the context of management ethics is special problem the relation aspect between the shareholders and employed ruler. Namely, if the shareholders wish to control of the behaviors of managers in order to get a high profit, managers first typically have the following interest: ensuring personal profit maximization. This situation automatically arises the concrete conflicts of interests.

In contrast to this exists <<stewardship-theory>>, which is considered alternative to the above mentioned theory. <<Stewardship-theory>> means to overcome the pure selfishness of manager with pro-social behaviors of Steward.

Although <<stewardship-theory>> is probably more idealistic. There are many corporate scandals in the Business World, what is connected with irresponsible and egoistic behaviors of management.



კობა სოხაძე

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

დიფერენციული რენტის სრულყოფა მოითხოვს დიფერენცირებული რენტა პირველი და მეორე რიგის რენტად დაყოფის ამოსავალი პრინციპების ზუსტად განსაზღვრას, რაც საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება მომხმარებლისათვის მიწის მაქსიმალური სარგებლიანობით გამოყენების თვალსაზრისით, რაც დაფუძნებულია მათ განსხვავებაზე ერთობლივი და საზღვრითი სარგებლიანობის შესახებ ურთიერთობებიდან გამომდინარე.

სარენტო პრინციპის მოწყობა მომხმარებლისათვის სარგებლიანობის თალსაზრისით საშუალებას იძლევა უზრუნველყოს სახელმწიფოს ინტერესები მომხმარებლებთან და პირველ რიგში ინვესტორებთან, რომლებიც თანახმა არიან გამოიყენონ საინვესტიციო პროექტის რეალიზაციისათვის საბაზრო ღირებულება და მინიმალური ფინანსური და სამეწარმეო რისკი. ასეთ შეთანხმება ხდება კომპრომისის საშუალებით, რომელიც მისაღებია ორივე მხარისათვის და დაფუძნებულია სამართლიანობის და ფასეულობების პრინციპზე. სამართლიანობის პრინციპი ნიშნავს, რომ კომპრომისმა უნდა უზრუნველყოს ინვესტორისა და სახელმწიფოს ინტერესები ბალანსი, ხოლო რაციონალობის პრინციპი - კომპრომისი შეიძლება მოქმედი იქნას ამასთან ერთადერთი გზით. სამართლიანობის პრინციპი რეალიზდება სარენტო შემოსავლის სამართლიანი და დასაბუთებული გაყოფის შედეგად.

რენტა ეს არის მიწის საკუთრებიდან გამომდინარე ადამიანთა ურთიერთობის შედეგი, რომლის მიზანია მიწაზე შექმნილი სიმდიდრის მისი მესაკუთრის მიერ მითვისება ან რალიზაცია.

მიწაზე, მიწის წიაღზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე განაპირობებს აბსოლუტური მიწის რენტის აღმოცენებას, რაც შესაძლებლობას იძლევა მიწის მესაკუთრებმა მითვისონ საბაზრო ღირებულების ნამეტი წარმოების ფასთან შედარებით. სოფლის მეურნეობაში და ბუნებრივი რესურსების მომპოვებელ დარგებში ეს ფასი განისაზღვრება წარმოების ხარჯებით ყველაზე ცუდ ბუნებრივ პირობებში, პლიუს ავანსირებულ კაპიტალზე საშუალო მოგებით. ამიტომაც ამ უკანასკნელთან ერთად წარმოიშვება

დიფერენციული რენტა, როგორც სხვაობა შრომის ხარჯების დონეს შორის კარგი და ცუდი მიწის ნაკვეთების გამოყენების დროს. (ხარისხით, პროდუქტიულობით, ადგილმდებარეობით და ა.შ.)

რენტა აღმოცენდება იმ პირობებში, სადაც მიწა გამოდის ძირითადი კაპიტალის ფორმით (სოფლის და სატყეო მეურნეობა, მშენებლობა, მომპოვებელი და სამთო წარმოება. აქედან გამომდინარე რენტა ყოველთვის „მიწისა“ მიუხედავად მისი პირობითად დაყოფისა სხვადასხვა სახეების მიხედვით, აქედან გამომდინარე რენტის გამოყენების დროს უპირველეს ყოვლისა იგულისხმება და გამოყენებული უნდა იქნას ტერმინები „ მიწის რენტა სოფლის მეურნეობაში“, „მიწის რენტა სატყეო მეურნეობაში“, „მიწის რენტა სამთო მრეწველობაში“. ისეთ პირობებში, როცა მიწა და მისი წიაღისეული იმყოფება კერძო საკუთრებაში, მიწის გაყიდვა უპირველესად ნიშნავს მიწის რენტის მისაღებად უფლების გადაცემას (მიწის ფასი ტოლია კაპიტალგაუთვალისწინებელი რენტისა). მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასება მათ რთავთ საბაზრო ურთიერთობების სისტემაში, თუმცა აუცილებელი არ არის მათი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად გადაქცევა, რაც დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის სადაც ეკონომიკაში სახელმწიფოს წილი მაღალია.

მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე სახელმწიფო საკუთრების დროს რენტის მთელი შემოსავალი ეკუთვნის სახელმწიფოს. აღნიშნულ შემთხვევაში ის როგორც მიწის მესაკუთრე-მონოპოლისტი, გამოდის რა საგარეო ბაზარზე როგორც მომპოველი პროდუქციის მესაკუთრე, ავტომატურად ითვისებს აბსოლუტურ რენტას, ხოლო მოგებზე გადასახადებით, რეგულირებადი ფასების სისტემაში - დიფერენციული რენტის მნიშვნელოვან ნაწილსაც, რომელიც დაკავშირებულია საუკეთესო ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან, მიმართავს რა მთელ აღმოცენებულ ზემოგებას ცენტრალიზებული წმინდა მოგების ფონდში.

წინა პერიოდში იყო მრავალი მცდელობა განესაზღვრათ მიწის რენტა, რომელიც აღმოცენდება სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, მრეწველობის მომპოვებელ დარგებში. სხვადასხვა მეთოდებით გაანგარიშების დახმარებით მეცნიერებმა მიიღეს

რენტის დაახლებით ერთი და იგივე ოდენობა, რომელიც მიდის სახელწიფოს განკარგულებაში. ის მთლიანად მიაკუთვნეს დიფერენციულ რენტას, რომელიც აღმოცენდება სოფლის მეურნეობაში ბუნებრივი პირობების განსხვავებიდან გამომდინარე. ეგრეთ წოდებული აბსოლუტური რენტა, რომელიც გამოდის როგორც მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე ეკონომიკური საკუთრების შედეგი, საერთოდ არ იყო გათვალისწინებული, რამდენადაც აბსოლუტური არარსებობის შესახებ სახელმწიფო საკუთრების უსაზღვრო მონოპოლიის პირობებში, ეკონომიკურ თეორიაში არ განიხილებოდა და განეკუთვნებოდა ტაბუდადებულ საკითხს. ითვლებოდა, რომ მიწის ნაციონალიზაციამ საფუძველი გამოაცალა რენტის ყველა სახეობის არსებობას. მრავალი დისკუსიის შემდეგ დადგინდა, მიწის კერძო საკუთრების პირობებში რენტის ორივე სახე შენარჩუნებულია, თუმცა ოდნავ მოდიფიცირებული სახით, რაც განპირობებულია სისტემის საყოველთაო სახელმწიფო რეგულირების თავისებურებებით.

რენტის ცენტრალიზებულად ამოღების მექანიზმის სრულყოფის საკითხისათვის

ე.წ. სოციალიზმის პირობებში რენტის ამოღება სახელმწიფოს მიერ ხდებოდა საიჯარო ქირის სახით. საგადასახადო რეფორმების გატარების შემდეგ დიფერენციული რენტის პირდაპირი ფორმით აიკრძალა და ის შეიცვალ ბრუნვის გადასახადით. აღნიშნულის შედეგად მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები გამოყენებული იყო უფასოდ, რამაც გამოიწვია უარყოფითი შედეგები და ხელი შეუწყო ეკონომიკის კრიზისულ განვითარებას.

პრაქტიკულად სოფლის მეურნეობაში და მომპოვებელ მრეწველობაში აღმოცენებული სარენტო შემოსავლების სახელმწიფოსათვის გადაცემა უზრუნველყოფილი უნდა იქნას ორი მეთოდით - ან შესასყიდი და საბითუმო ფასების ზონალური დიფერენციაციის სახელმწიფოსათვის მისი პირდაპირი გადაცემის გზით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო როგორც მიწისა და ყველა ბუნებრივი რესურსის მესაკუთრე ბრუნვის გადასახადების მეშვეობით ყველა საწარმოდან იღებდა თავისებურ საიჯარო ქირას (აბსოლუტური რენტის სიდიდის ნორმატიულად დაწესებული ნიხრით), ხოლო უკეთეს პირობებში მომუშავეთაგან - ბუნებრივად აღმოცენებულ დამატებით წმინდა შემოსავალს - დიფერენციულ რენტას (მოგებაზე გადასახადის სახით). შემოსავლის ეს ორი სახე საკმაოდ ახლოსა რაოდენობის მიხედვით.

რეგულირებადი ფასების და ბრუნვის გადასახადის სისტემის სახელწიფოს ბიუჯეტში

ხვდებოდა აბსოლუტური რენტის უმეტესობა. ცენტრალიზებულად ხდებოდა დიფერენციული რენტის მნიშვნელოვანი ნაწილი (მოგების გადასახადის საშუალებით). ამრიგად, სამეურნეო პრაქტიკაში აბსოლუტური რენტის ფარული ცნობა ხდებოდა მისი ბრუნვის გადასახადიდან ამოღების სახით. სარენტო გადასახადების ყველა სახე ჯამში შეადგენდა სარენტო შემოსავლებს, რომლებიც ოფიციალურად მიკუთვნებული იყო მხოლოდ დიფერენციულ რენტაზე.

მიწაზე და სხვა ბუნებრივ რესურსებზე საზოგადოებრივი საკუთრების სრული ბატონობის პირობებში, ასევე საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის დროს რენტა ამოიღებოდა ავტომატურად არსებული ფასების და საგადასახადო მექანიზმების საშუალებით, რომელიც რეგულირდებოდა სახელმწიფოს მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ ცალკეული დფარგები და საწარმოები პრაქტიკულად არ იღებდნენ სარენტო შემოსავლებს, რადგანაც ამ საკითხებს სახელმწიფო ცენტრალიზებულად აწესრიგებდა. რა თქმა უნდა რენტის მნიშვნელოვანი ნაწილი შემდგომში უზრუნველბოდა წარმოებას სახელმწიფო კაპიტალდამანდებების და დაფინანსების სხვა სახეების მიხედვით, კერძოდ წამგებიან რეგიონებს, რაიონებს, დარგებსა და ცალკეულ საწარმოებს.

დღეისათვის რენტის ამოღება და მობილიზაცია მნიშვნელოვნად გამწვავდა, იმის გამო რომ ცენტრალურმა ხელსუფლებამ მესაკუთრეებს გადასცა არა მარტო რენტის მნიშვნელოვანი ნაწილი არამედ საბიუჯეტო შემოსავლების სხვა წყაროებიც, მაგალითად მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოების მიერ წარმოებული საქონლიდან მიღებული შემოსავლები. ამიტომ სახელმწიფომ ამ მიმართულებით უნდა გადადგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალიზაციისა და დეფიციტის ლიკვიდაციის მნიშვნელოვანი წყარო უნდა გახდეს.

ფიქსირებული სარენტო გადასახადების გამოყენება, როგორც საგადასახადო შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზების ძირითადი წყარო, მნიშვნელოვანია და უპირატესობები აქვს შემდეგი მიზეზების გამო:

- რამდენადმე მარტივდება გადასახადების ამოღების ტექნიკა, რომელიც უკავშირდება სარენტო გადასახადებს;
- სოფლის მეურნეობაში და მოპოვებით დარგებში შეიძლება დაყვანილი იქნას პრაქტიკულად გადასახადების ორ სახეობამდე - ფიქსირებულ სარენტო გადასახადსა (მიწის გადასახადსა) და მოგების გადასახადზე;
- ფედერალურ ბიუჯეტში ფიქსირებული

სარენტო გადასახად-  
ების აკუმულირების დახმარებით შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების მიზნობრივი ფონდების შექმნა (მიწა, მინერალურ-სანედლეულო ბაზები);

- ხდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ურთიერთობის სისტემატიზაცია (სარენტო ურთიერთობების გადანაწილების გზით.)

არსებობს ფიქსირებული სარენტო ურთიერთობების გაძღოლის რამდენიმე ხერხი. მისაღებია მათი ჩართვა წარმოების თვითღირებულებაში და გამოანგარისებული იქნას პროცენტებში დარგში ერთობლივი პროდუქციის ღირებულების ერთიანი მაჩვენებლის მიხედვით.

აღნიშნული ხერხის არსი მდგომარეობს მასში, რომ პერსპექტივაში პრაქტიკულად ბუნებრივ რესურსებზე ყველა გადასახადი იცვლება ერთიანი ფიქსირებული სარენტო გადასახადებით, რომლებიც მთლიანად მიეკუთვნება საწარმოო დანახარჯებს. აღნიშნულის შედეგად სარენტო გადასახადების გაძღოლის განპირობებული იქნება სახელმწიფოს უფლებით გამოიყენოს რენტის ნაწილი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის როგორც ბუნებრივი რესურსების მესაკუთეს (მიწა, მისი წიაღი და ა.შ.). მიწის რენტის ან აბსოლუტური რენტის ეს ნაწილი, სახელმწიფოს მიერ აკუმულირებულია ფედერალურ ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის მიწის გადასახადის ტრანსფორმაციის შედეგად და მომპოვებელ დარგებში ფიქსირებული სარენტო გადასახადების სახით. ასეთი გადასახადები შეასრულებენ მკაცრად კვლავწარმოებით ფუნქციას, მთლიანად მოხვედებიან ფედერალურ ბიუჯეტში და გამოყენებული იქნება რესურსული პოტენციალის განვითარების მიზნით ქვეყნის სოფლის მეურნეობაში და მოპოვებით მრეწველობაში.

საბიუჯეტო სისტემის საშუალებით სარენტო გადასახადების ფორმირებისა და ამოღების სხვადასხვა გაანგარიშებების შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ აუცილებელია:

პირველ რიგში შემოდის შემოდის მცნება ფიქსირებული სარენტო გადასახადების შესახებ, რომელიც ერიცხება სანედლეულო დარგებში მთლიან პროდუქციაზე დამოკიდებულით და რომელიც ასახავს მათი საწარმოების საწარმოო დანახარჯებს. მეორე, ყველა ფიქსირებული სარენტო გადასახადი იყიფა სამ სახედ: მრეწველობის მომპოვებელ დარგებში - მინერალურ-სანედლეულო ბაზის კვლავწარმოების ფონდი; სოფლის მეურნეობაში - მიწის გადასახადი; სანედლეულო პროდუქციის ექსპორტის დროს - წარმოების განვითარების ფონდში. მესამე, ფიქსირებული სარენტო გადასახადები

მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ერთად ქმნიან რესურსული პოტენციალის აღდგენის ფონდს (მინერალურ-სანედლეულო ბაზა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები). მეოთხე, ფიქსირებული სარენტო გადასახადები სანედლეულო დარგების საექსპორტო წილიდან ხვდებიან წარმოების განვითარების მიზნობრივ საბიუჯეტო ფონდში, რომლის დანიშნულებაცაა საწარმოს ძირითადი კაპიტალისა და ტექნოლოგიების განახლება სანედლეულო დარგებში და სოფლისმეურნეობაში. საბიუჯეტო სისტემაში სარენტო გადასახადების მოწესრიგების ღონისძიებანი უნდა ხდებოდეს საბანკო სისტემაში გარკვეული ინსტიტუციონალური ცვლილებებით, კერძოდ, უნდა შეიქმნას მსხვილი სპეციალიზებული ბანკები, რომლებიც კონტროლდება სახელმწიფოს მიერ წილობრივი მონაწილეობის გზით.

საგადასახადო ურთიერთობებში სარენტო ფაქტორის გაძლიერების შედეგად გააძლიერებს ქვეყნის ფედერალიზმის საფუძვლებს, რადგანაც რენტის მნიშვნელოვანი ნაწილი (პირველ რიგში აბსოლუტური) ეკუთვნის მთელ საზოგადოებას და სრულიად სამართლიანად უნდა იქნას გადანაწილებული ქვეყნის რაიონებისა და რეგიონების მიხედვით, მათი ბუნებრივი სანედლეულო პოტენციალის მიუხედავად. თუმცა მათ გააჩნიათ უპირატესი უფლება მიიღონ საბიუჯეტო სახსრები ბუნებრივ-სანედლეულო ბაზის აღდგენის მიზნით.

ქალაქად სარენტო-ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

საქართველოს სინამდვილეში ქალაქად სარენტო-ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგების პრობლემა, ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი საკითხია.

მიწა ქალაქად ერთერთი ფასეული რესურსია, რომელსაც გონივრული და სამართლებრივი გამოყენების შედეგად დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორც საზოგადოებისათვის ისე სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის. როგორც წესი ქალაქად მიწის რენტის რეალიზაცია ხდება დიფერენციული და მონოპოლიური რენტის სახით. მისი გამოყენების ხასიათზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოებისა და სტაბილური შემოსავლების ფორმირების საკითხი. ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ მიწის შემოსავლების ზრდა განპირობებული არ უნდა იყოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დონის, ეკოლოგიის და მთლიანად საქალაქო სისტემის გაუარესების ხარჯზე.

მიწა ქალაქად გამოიყენება მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით,



სიცოცხლის ბოლომდე ფლობის, სარგებლობისა და იჯარის უფლებით. ერთერთი მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფომ უარი თქვა დაამკვიდრებულ პრაქტიკაზე, რომლის თანახმადაც მიწა სახელმწიფო საკუთრება იყო, ეს მიწის არაეფექტური და არამართვომიერი გამოყენებაა.

მნიშვნელოვანია კრიტერიუმების დაწესება, რომლის დარღვევის შემთხვევაში მიწის საკუთრების ესა თუ ის ფორმა არ იქნება ეფექტური და კიდევ უარესი, შექმნის ქალაქად სოციალურ არასტაბილურობას. მიწაზე კერძო საკუთრების საზღვრები უნდა განისაზღვროს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით და მესაკუთრეების შესაძლებლობებით გამოიყენოს საკუთრების უფლება მაქსიმალური ეფექტით, სახელმწიფო სექტორთან შედარებით, ამასთან არ დაუშვას მიწის გამოფიტვა და დაბინძურება.

ქალაქად სამიწათმოქმედო ურთიერთობების განვითარება შეუძლებელია ცივილიზებული მიწის ბაზრის ფორმირების გარეშე. თავიდან უნდა იქნას აცილებული მიწის თვითნებური გამოყენება და აქედან გამომდინარე მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალი, როგორც ეკონომიკური ისე ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით.

საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგად მიწაზე სახელმწიფო მონოპოლია ლიკვიდირებული იქნა. მიწა გადადის მოსახლეობის კერძო საკუთრებაში ამ ვრცელდება მისი ეფექტური გამოყენების სხვადასხვა, მათ შორის საიჯარო ფორმები.

მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის სტრუქტურაში უმეტესი ადგილი უჭირავს ინდივიდუალურ და კოოპერატიულ ბინათმშენებლობას. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ საჭიროა შეიქმნას მიწის კერძო საკუთრებაში, იჯარით და სხვადასხვა ფორმებით გამოყენების მწყობრი სისტემა. მიწის რალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლები გამოყენებული უნდა იქნას მიწათმფლობელობის რეალური სისტემის შექმნისა და გამოყენების მიზნით.

დღეისათვის აქტუალურია მიწაზე კერძო საკუთრებისა და იჯარით გამოყენების უპირატესობებისა ზუსტად განსაზღვრა. აუცილებელია პრინციპიალურად გადაწდეს საკითხი მიწის მესაკუთრეთა და ინვესტორების ინტერესების დაბალანსებული განვითარების შესახებ.

ამ მომართულებით მსჯელობის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ საკითხს ქალაქის, მიწის მესაკუთრისა და ინვესტორების ინტერესების მაქსიმალურად ჰარმონიულად განვითარების შესახებ, წინააღმდეგ შემხვევაში შესაძლებელია ეს ინტერესები გარკვეულ

წინააღმდეგობებში შეიძლება გადაიზარდოს, რაც ქალაქის ინფრასტრუქტურა და განვითარების პერსპექტივებს მნიშვნელოვნად დააზარალებს.

როგორც ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს მიწის საიჯარო ფორმას ის უპირატესობები გააჩნია, რომ ხელისუფლებას აქვს რეალური მექანიზმი მიწის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებისათვის. მიწის იჯარით მიღებული შემოსავლები გახდა ქალაქის საბიუჯეტო შემოსავლების მოდმივად მზარდი წყარო.

დღეისათვის აქტუალურია საკითხი ქალაქის ხელისუფლების მიერ მიწის ეფექტურად გამოყენების ქმედითი მექანიზმების შექმნის შესახებ. მიწის მონოპოლიურად განაწილების შემთხვევაში, ჩინოვნიკებს ეძლევათ შანსი მიწის თვითნებურად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე განაწილებისათვის. ამიტომაც ხშირია შემთხვევები მიწის საიჯარო ქირის გადახედვის გაზრდის მიმართულებით (რაც იწვევს პოტენციური ინვესტორის დეზორიენტიაციას) და არენდის სახით აღებული საშუალებების უპასუხისმგებლო გამოყენებას, ასევე მრავალრიცხოვან ეკოლოგიურ დარღვევებს, მიწის არასამართლებრივი გადაცემა მოჯარეებისა და მშენებლებისათვის, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ადგილობრივი მცხოვრებლების უკმაყოფილებას.

ახლა განვიხილოთ მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების დადებითი მომენტები. პირველ რიგში, აღნიშნულის შემთხვევაში ქალაქის ხელისუფლება ახდენენ პოტენციური, მათ შორის უცხოელი ინვესტორების სტიმულირებას. მათთვის მიწაზე კერძო საკუთრება ხდება სტაბილურობის სიმბოლო და გარანტი. მიწის საკუთრება ამტკიცებს მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობას, ქმნის პირობებს საშუალო ბიზნესის შექმნისათვის, რაც ნებისმიერი განვითარებული საზოგადოების საფუძველია. გარდა ამისა კერძო, მიწის კერძო საკუთრება განამტკიცებს მეწარმეების დამოუკიდებლობას ხელისუფლების ორგანოებთან მათი ურთიერთ-დამოკიდებულების დროს.

მეორე, აქტიურად ვითარდება უძრავი ქონების, გირაოში ჩადების პირობით, საბითუმო დაკრედიტების მექანიზმი, რაც ინვესტიციების ჩადების მნიშვნელოვანი პირობაა.

მესამე, მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა იჯარასთან ერთად უზრუნველყოფს მიწის მესაკუთრე სხვადასხვა ფორმებს შორის კონკურენციას, ხელს უწყობს მიწის ნაკვეთების ეფექტურ გამოყენებას.

მეოთხე, მიწის ბაზრის სეგმენტის წარმოშობით, რაც დაკავშირებულია მიწაზე კერძო საკუთრების რეალიზაციასთან, ხელს უწყობს ფასების უფრო

ობიექტურად ფორმირებას და მიწის გადასახადების უფრო დასაბუთებულად დაწესებას.

მიწაზე კერძო საკუთრების განვითარების დაინტერესებულ ჯგუფებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია: აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები (რაც უპირველესად უკავშირდება ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას). მეწარმეები, რომელთათვისაც კერძო საკუთრებისა და ეკონომიკური რეგულირების სფეროს გაფართოება ხელს უწყობს ეკონომიკური სტაბილურობის და საინვესტიციო კლიმატის ზრდას; სხვადასხვა რჯულის სპეკულიანტები, რომლებიც ხელს ითბობენ მიწების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებით; კრიმინალური სტრუქტურები, რომლებსაც საშუალება ეძლევათ „გარეცხონ“ ფული უძრავი ქონების ბაზარზე; მოსახლეობის ის ნაწილი, რომლებსაც დაგროვებული აქვთ დიდი კაპიტალი.

ფაქტია ის, რომ მიწის ბაზარზე გამოდიან სუბიექტები, რომლებიც ხასიათდებიან სხვადასხვა ფინანსური „წონით“. ასეთ პირობებში მოსახლეობის დიდი ნაწილი წაგებული დარჩება, რადგან მათ არა აქვთ კონკურენტუნარიანად უძრავი ქონებით ბარზე გასვლის საშუალება. წაგებული რჩებიან ასევე ჩინოვნიკები (სახელმწიფო მოხელეები), რომლებიც ვედარ ახერხებენ უძრავი ქონების ფლობას; ქალაქის საწარმოების ნაწილი, რომლებიც ფუნქციონირებენ სახელმწიფოს ლობირებით და თვითონ ქალაქი რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი ბერკეტები მიწაზე კერძო საკუთრების განვითარების მიზნით.

საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილების გამო, რომელმაც უნდა მოიცვას აგრარული ურთიერთობებისა მიწის ნაკვეთების შეფასება, ასევე მიწაზე კერძო საკუთრების დამდოლოს მექანიზმების არასრულყოფილების გამო ვერ ხერხდება რთულდება ქალაქის მეურნეობის მართვა და ვლინდება ზოგიერთი ნეგატიური ტენდენცია, მათ შორის მიწის ნაკვეთების წინასწარგაუთვალისწინებელი სპეკულიაცია და

მათი კრიმინალური სტრუქტურების მიერ შესაძლო შესყიდვა და ა.შ. ასევე ვლინდება მიწების ნაკვეთების პრივატიზების ტენდენცია მყიდველების ვიწრო წრის მიერ, რომლებიც დაახლოებულნი არიან ხელისუფლებასთან, მათ მიერ დაუმსახურებელი მიწის რენტის მითვისების მიზნით.

გარდა ამისა კერძო მესაკუთრებმა სათანადო ანაზღაურების მიღების მიზნით შეიძლება გასცენ თავიანთი ნაკვეთები იჯარით. თუმცა აღნიშნული პროცესები სახელმწიფოს მიერ არ კონტროლდება. თუმცა მიწათმოქმედების რეგულირებისადმი სახელმწიფოს მიერ ფორმარული მიდგომა შეცდომა იქნებოდა. მართალია მიწაზე კერძო საკუთრების გარეშე არ არის ჭეშმარიტი საბაზრო თავისუფლება, მაგრამ მიწათსარგებლობის სხვადასხვა ფორმები უნდა შეფასდეს როგორც მისი ეფექტიანობის ზრდის, ისე მათ მიერ ქალაქის მოსახლეობის სურსათით მომარაგების თვალსაზრისით.

მიწის ბაზრის განუვითარებლობამ არ უნდა შეაფერხოს საბაზრო ურთიერთობების სრულყოფა სოფლად. ამიტომაც გამართლებულია მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრებაში გადასვლის მიზნით, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით აუცილებელია მიწის ყიდვა-გაყიდვის რეალური მექანიზმების შექმნა. ამასთან უპირველესად გათვალისწინებული უნდა იქნას ქალაქისათვის სასარგებლო საინვესტიციო პროექტები. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია ქალაქის ხელისუფლების პოზიცია. მათ კარგად უნდა აწონონ მიწის პრივატიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგები, უზრუნველყონ მისი სამართლებრივი მექანიზმები, დახვეწონ მიწის პრივატიზების ფორმები. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს ქალაქის განვითარების სტატეგიული გეგმის განვითარებას და მიწის პრივატიზების პროცესის უმტკივნეულოდ გადაწყვეტას, რაც საზოგადოების წინააღმდეგობის გარეშე განვითარების მნიშვნელოვანი გარანტიაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქოქიაური ლამარა. საინვესტიციო პოლიტიკა სტრატეგია. თბ. თსუ. 2008 წ.
2. ღურწყაია კარლო. ეკონომიკური გლობალიზაცია და თანამედროვეობა. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ N1, 2010 წ.
3. Албегова И М Емцов Р Г Холопов А В Государственная экономическая политика: опыт перехода к ринку. М. 2008.
4. შონია ნ. უცხოური ინვესტიციების არსი და როლი ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარებაში. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ N2, 2010 წ.
5. Экономика муниципального сектора. М. 2008.
6. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დამღვევის პროგრამა. თბილისი 2003 წ.



ტურიზმის განვითარების პერსპექტივები მცხეთის მუნიციპალიტეტში



ჯემალ სოლოლაშვილი  
კავკასიის საერთაშორისო  
უნივერსიტეტის მედიცინის  
ფაკულტეტის პროფესორი  
ელ.ფოსტა:jsologha@yahoo.com



ლალი ოქროცვარიძე  
კავკასიის საერთაშორისო  
უნივერსიტეტის ბიზნესის  
ფაკულტეტის ასოცირებული  
პროფესორი

საქალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ტურიზმი საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პერსპექტიული დარგია. ტურიზმის კერების აღორძინება ქვეყანაში დიდ შესაძლებლობებს ქმნის კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის, მით უფრო მცხეთის ისტორიული უმდიდრესი მემკვიდრეობის გათვალისწინებით, სანახაობების შესწავლისა და დათვალიერების თვალსაზრისით. წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ტურიზმის განვითარების იდეას, კონკრეტულად კი მცხეთაში.

ამ ნაშრომის პრიორიტეტული ასპექტია საქართველოს დედაქალაქთან ახლოს, ძველი სატახტო ქალაქ მცხეთის შემოგარენის პოტენციალის შესწავლა-შეფასება ტურიზმის პერსპექტიული განვითარების მიმართულებით. მცხეთას გააჩნია იშვიათი შესაძლებლობები, გახდეს არა თუ ტურიზმის ცენტრი საქართველოში, არამედ მსოფლიო ტურიზმისათვის იქცეს ფრიად საინტერესო ადგილად, რადგან მცხეთის მუნიციპალიტეტი ფლობს იშვიათ რეკრეაციულ ზონებს მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით, ლანდშაფტით, ისტორიული ძეგლებით, სადაც შიძლება მოეწყოს საფეხმავლო და ველოტურები. თავის მხრივ ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს სოფლის ინფრასტრუქტურის სრულყოფას.

.. მაღალი კულტურა და განვითარებული ტექნიკა ხალხის ბედნიერებისთვის არ არის საკმარისი, არის ღირებულებანი, რომელიც ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში საუკუნეობით იქმნებიან და ყალიბდებიან და რომელთა დაკარგვაც დანაშაულია. ჩვენთვის ასეთია: მართლმადიდებელი სარწმუნოება - მოციქულთაგან ბოძებული, მუსიკა - ყველას რომ აღაფრთოვანებს, ჩვენი ენა და დამწერლობა - იდუმალეობით სავსე და დიდებული, გასაოცარი ხელოვნება, ხატწერა, არქიტექტურა, ჩვენი მშვენიერი წეს-ჩვეულებანი.

ადმოსავლეთის და დასავლეთის რომელი ტრადიციები შეედრება ამას? სამწუხაროდ, ბოლომე ვერ ვაცნობიერებთ, რა სიმდიდრის მფლობელნი ვართ.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

XXI საუკუნის ცხოვრების აჩქარებული რიტმი დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ თუ ფიზიკურ მდგომარეობაზე. ამიტომ ადამიანს აუცილებლად ესაჭიროება რელაქსაცია, რათა აღიდგინოს ძალა და ენერჯია შემდგომი შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად. ამ მიზნით ადამიანები და უფრო ხშირად ადამიანთა ჯგუფები

(ოჯახები, მეგობართა წრეები, სტუდენტები, ჩამოსული სტუმრები და ა.შ.) თანხმდებიან, შეარჩევენ ქალაქგარეთ, მშვიდ, წყნარ გარემოში გასასვლელ ადგილს დასასვენებლად და დროის ხალისიანადგასატარებლად. ფაქტია, რომ დასვენება „შესარგი“ უნდა იყოს, ანუ დასასვენებელი ადგილი უნდა იყოს საინტერესო, შვებისმომგვრელი

და სასურველია, ის მდებარეობდეს არც თუ მაინცდამაინც შორს, რადგან ჩასვლა-დაბრუნება არ უნდა მოითხოვდეს ბევრ დროს და მგზავრობა არ უნდა იყოს დამღელი. ამ თვალსაზრისით ყველა დასმულ საკითხს ცალსახად დადებითად პასუხობს მცხეთის რეგიონი.

მცხეთა ტურისტული პოტენციალის მხრივ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა, რაც განპირობებულია როგორც მისი ისტორიული წარსულით და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით, ასევე, მისი ულამაზესი ბუნებით, განუმეორებელი ლანდშაფტით, არქიტექტურით, სტუმართმოყვარე ხალხით და კიდევ გეოგრაფიული მდებარეობით - სიახლოვით დედაქალაქთან. ისტორიული ძეგლების განლაგება განსხვავებულ ჰიპსომეტრიულ დონეებზე უფრო მეტად მიმზიდველს ქმნის ტურიზმს მცხეთის შემოგარენში. ამასთანავე, ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მცხეთა წარმოადგენს მართლმადიდებლური სამყაროსათვის ერთ-ერთ უწმინდეს ადგილს თავისი უნიკალური სიწმინდეებით, ამიტომ მცხეთას მეორე იერუსალიმსაც უწოდებენ და ფრიად საყურადღებოა პილიგრიმული ტურიზმის თვალსაზრისითაც. ყოველივე ეს მომხიბვლელია არამარტო ადგილობრივი მოგზაურობის მოყვარულთა და მორწმუნეთათვის, არამედ,

ასევე, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უცხოელ ტურისტებშიც.

მცხეთა შეტანილია იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში როგორც მსოფლიო ცივილიზაციის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. არქეოლოგიური გათხრები და ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ მცხეთა დასახლებული იყო ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანაში, ძ.წ. III და II ათასწლეულების მიჯნაზე. იგი წარმოადგენდა გზაჯვარედინს აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთი-სამხრეთის ქვეყნებს შორის, ამის შესაბამისად, იგი იყო სავაჭრო და მსოფლიო კულტურათა დაახლოვების ცენტრიც. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნი არტეფაქტები ბერძნული და არამეული წარწერებით.

მცხეთა. აქ იმყოფება უფლის კვართი. აქ იქადაგა წმ. ნინო კაბადოკიელმა ქრისტიანობა. აქ მოევიღნა ქართველ ერს ღვთიური სასწაულმოქმედი სვეტი - სვეტიცხოველი. აქედან მოხდა სრულიად საქართველოს მართლმადიდებლად მოქცევა. ეს არის ქართველ მეფეთა და ბაგრატიონთა განსასვენებელი წმინდა ადგილი. აქ განისვენებენ მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, ვახტანგ გორგასალი და ერეკლე მეორე...



სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი



ჯვრის მონასტერი

მცხეთის მუნიციპალიტეტში შედის 63 დასახლებული პუნქტი, მათ შორისაა ერთი ქალაქი, რაიონული ცენტრი - მცხეთა. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შეადგენს 805 კმ<sup>2</sup>-ს და მისი განუწესი სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 480 მ-დან 1600 მ-მდე. მცხეთის კლიმატი მისაღებია თითქმის ყველა ტურისტისათვის, რადგან იგი ხასიათდება ზომიერად ნოტიო ჰავით, ხოლო ზამთარი და ზაფხული არ გამოირჩევა მკვეთრად კონტრასტული ტემპერატურებით, დამახასიათებელია ზამთრისთვის ზომიერი

სიცივე და ზაფხულისთვის - ზომიერი სითბო. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 91%-მდე ქართველებია, ხოლო დანარჩენი 9%-დან არიან აზერბაიჯანელები (4,3%), ოსები (2,1%), ასირიელები (1,5%) და სხვა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ტურისტს მცხეთაში დახვდება ქართული სტუმართმოყვარეობა და მასპინძლობა. ტურისტს აქვს შესაძლებლობა, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნახოს XXI საუკუნის რუსული აგრესიის შედეგად წარმოქმნილი დევნილთა კომპაქტური დასახლებები წეროვანში, წილკანსა





და ფრეზეთში. რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ დევნილთა დასახლებებში ცხოვრობს 9900 იძულებით გადაადგილებული მოსახლე.

მცხეთის რეგიონში შემავალი სოფლების უმეტესობა ისტორიულია და აქედან გამომდინარე, თითოეულ მათგანში არსებობს არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ტაძრებისა და სამლოცველოებისათვის დამახასიათებელია ქართული ხუროთმოძღვრების სტილი და მათი უმრავლესობა აგებულია სტრატეგიულ ადგილებზე ისე, რომ მათ შორის დისტანციურად შესაძლებელი ყოფილიყო პირდაპირი ხედვა ანუსინათლის სხივის მეშვეობით განხორციელებულიყო ინფორმაციის მიწოდება. ცეცხლის დანთებით კომუნიკაცია ვითარდებოდა დღითა და ღამით. ეს ქართული ინტელექტის ნაყოფია, სინათლის სიჩქარის (300000 კმ/წმ) გამოყენება მოახლოებული საშიშროების შეტყობინების მიზნით ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ იყო აღმოჩენილი ელექტრომაგნიტური ტალღები და ბერის მოდულაცია-დეტექტირების მეთოდები.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტი გაეცნობა ხუროთმოძღვრების მრავალ ღირსშესანიშნავ ნიმუშს, რომელთაგან გარკვეული ნაწილი იუნესკოს მიერ შეტანილია მსოფლიო კულტურის მატერიალურ ძეგლთა მემკვიდრეობის ნუსხაში. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მცხეთის ტერიტორიაზე ითვლიან 10-15 საუკუნეს, ზოგიერთი კი მის ფარგლებს გარეთაც. დავასახელებთ იმ ობიექტებს, რომელთა ნახვაც

ვიზუალურად უდავოდ სიამოვნებას მოგვრის დამთვალერებლებს, ხოლო მათზე არსებული ისტორიული ინფორმაციის გაცნობა კი წარმოდგენას შეუქმნის მათ ქართული კულტურის თვითმყოფადობასა და განვითარებაზე. ასეთებია: სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, სამთავროს კომპლექსი (მთავარი ტაძარი, წმ. ნინოს ეკლესია, სამრეკლო, გალავანი კოშკით), ჯვრის მონასტერი, ბებრისციხე, შიომღვიმის მონასტრის კომპლექსი, კალოუბნის ეკლესია, ზედაზნის ეკლესია, ანტიოქიის ტაძარი, ბაგინეთი (არმაზციხე), არმაზის ციხე, საგურამოს ღვთისმშობლის ეკლესია, წინამძღვრიანთკარის წმ. გიორგისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, წილკნის ღვთისმშობლის ტაძრის კომპლექსი, ძეგვის სამების დიდი ტაძარი, გოროვნის ღვთისმშობლის ეკლესია, კველიანის კვირაცხოვლის ეკლესია და სხვა მრავალი.

ტურისტებისთვის მთავარ სანახაობას წარმოადგენს აგრეთვე, საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმი, მუხრანში მუხრანბატონის სასახლე „შატო მუხრანი“, ნიჩბისში ციციშვილების სასახლე, დიდგორის მემორიალი, ძეგვში ციხედიდის ხეობა (გოგირდოვანი სამკურნალო წყალი), სხალტაში თამარ მეფის დროინდელი კერამიკის მიღებით აგებული წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც დასრულებულა 1202 წელს ანტონ ჭყონდიდელის ხელმძღვანელობით და შიომღვიმის გადასახედზე მისვლა. დიდ ინტერესს იწვევს ნასტაგისის არქეოლოგიური გათხრები ქსნის ციხის მისადგომებთან.



ანტიოქიის ტაძარი



სამთავროს კომპლექსი

ჩამოსულ სტუმრებს შეუძლიათ ისიამოვნონ მშვენიერი რესტორნების მომსახურებით როგორც უშუალოდ ქალაქის საზღვრებში (ელიტარული რესტორანი „გუჯარი“, „ღვინის სახლი“, „ძველი არმაზი“, „არმაზის ხეობა“, „არმაზის წყარო“,

„ბაგინეთი“ და სხვ.), ისე მცხეთის მახლობლად მდებარე რესტორნებში („იმერული ეზო“, „ჭაშნაგირი“, „ელარჯი“, „მცხეთა“, „ზღაპარი“, „თამარიონი“, „საჭაშნიკე“ და სხვ.). სოფელ ჩარდახში მოქმედებს „იაგოს მარანი“, რომელიც გამოირჩევა

თავისი უმაღლესი ხარისხის ღვინოებით, სოფელ საგურამოში მოქმედებს ასკანელების „საგურამოს მარანი“ რჩეული ღვინოებით და სხვა მაგარი სასმელებით.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა დროში და



შიომღვიმის მონასტრის კომპლექსი

როგორი მარშრუტებით იქნება შესაძლებელი მცხეთის მუნიციპალიტეტის შემოგარენში არსებული კულტურული ობიექტების დათვალიერება? არის თუ არა მზად შესაბამისად ინფრასტრუქტურა ამისთვის?



მცხეთის ცენტრი

ახალი ეპოქისათვის THE NEW ECONOMIST

მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ ტურიზმი აღიარა ერთ-ერთ პრიორიტეტად, ამ მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები, შეიქმნა მოდერნიზებული ინფრასტრუქტურა, საგრძნობლად მოიმატა ტურისტთა რაოდენობამ. მათი რაოდენობრიობა განსაკუთრებით საყურადღებოა ზაფხულისა და შემოდგომის სეზონზე. ტურისტებთან ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ ისინი ინტერესდებიან საქართველოს კულტურით, ისტორიით, სამხარეულოთი და ქართული ქვეყრის ღვინით. მცხეთა სრულ მზაობას გამოთქვამს სტუმართა გაზრდილი ნაკადების მისაღებად. 2016 წელს 60000-მდე დამთვალიერებელი ესტუმრა მცხეთას. ყოველწლიურად სტუმართა რაოდენობას მზარდი ტენდენცია აქვს და იგი შეადგენს თითქმის 20%-ს. ამისთვის ქალაქში მოქმედებს მაღალი დონის სასტუმროები და ასევე, საოჯახო ტიპის სასტუმროები, რომლებიც საჭირო კომფორტს სთავაძობენ ვიზიტორებს ხელსაყრელი საფასურის სანაცვლოდ. სადღეისოდ ქალაქ-მუზეუმი მცხეთა ფლობს კარგ ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს ტურისტების კიდევ უფრო გაზრდილი ნაკადების მისაღებად. სასურველია, რომ მცხეთის ვიზიტორებმა საქართველოში ყოფნის პერიოდი მთლიანად დაჰყონ მცხეთაში. ეს ბევრად მომგებიანი იქნება ქალაქის მოსახლეობისათვის. ამისთვის კი ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ინფრასტრუქტურის

გასაუმჯობესებლად. სახელდობრ, აშენდა და მოქმედებაში შევიდა კულტურის ცენტრი, სპორტული კომპლექსი, მიმდინარეობს მუზეუმის მშენებლობა. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, მცხეთასთან დამეგობრებული ლიტვის ქალაქ ტრაკაის გამოცდილების გაზიარება და არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობა თვით ბებრისციხეში. ცხადია, ამას დასჭირდება ბებრისციხის რესტავრაცია-რეკონსტრუქცია და სათანადო მომზადება. სამაგიეროდ ეს შორიდან საჩვენებელი ობიექტი - „ბებრისციხე“ შეიძენდა ახალ და მუდმივმოქმედ ფუნქციას, მუზეუმად გარდაქმნილ ობიექტს ეყოლებოდა მრავალი ვიზიტორი და გაუჩნდებოდა თვითდაფინანსების წყარო.

ბებრისციხის მახლობლად ორი-სამი ათეული წლის წინ აშენდა თეატრონი, რომელიც დღეს უმოქმედო მდგომარეობაშია და რომლის აღდგენა შექმნის შესაძლებლობას, გადაიქცეს თეატრონი ერთ-ერთ საინტერესო ობიექტად ტურიზმისათვის და არამარტო უცხოელი ვიზიტორებისათვის. ის მშვენიერ პერსპექტივას წარმოადგენს ახალგაზრდული თეატრისა თუ გამოფენებისა და სიმპოზიუმებისათვის. აქ შეიძლება დადგმულ იქნას სცენები ძველი დედაქალაქის ცხოვრებიდან, რაც დაგვეხმარება წარსულის გაცოცხლებაში. ჭალა, რომელიც მდებარეობს თეატრონის მიმდებარედ, წარმოადგენს დიდ პერსპექტივას მცხეთის კულტურისა და დასვენების პარკად გარდაქმნის თვალსაზრისით. მომგებიან გარემოებას შექმნის მსხვილი სავაჭრო ობიექტის ამოქმედება

მცხეთაში და აგრეთვე, ყოველდღიურად მოქმედი ღია ბაზრობის მოწყობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

ტურიზმის განვითარებისათვის ხელშემწყობ ფაქტორად მიგვაჩნია ზედაზნისკენ მიმავალი გზის მშენებლობა, რომელიც უკვე დაპროექტებულია თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებით.

ამრიგად, მცხეთის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ საუკეთესო და განუმეორებელ ტერიტორიას, რომლის ყოველი ადგილი საინტერესოა თავისი ისტორიული წარსულით, კულტურული მემკვიდრეობით და გონივრულად დაგეგ-

მილი პერსპექტიული განვითარებით. მცხეთის ღირშესანიშნაობების სიმრავლე და ტერიტორიული განლაგება იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთი კვირა საინტერესოდ გაატაროს ვიზიტორმა მცხეთაში სწორად დაგეგმილი ტურებით. ამ მიზნის მისაღწევად კი საჭირო აქტივობებია განსახორციელებელი. ტურიზმის ცენტრი უნდა ფლობდეს საჭირო შესაძლებლობებს, რათა ტურისტებს სთავაზობდეს სხვადასხვა მარშრუტებს მცხეთის რეგიონში არსებულ ობიექტებზე. ეს ევროპულ ქვეყნებში აპრობირებული მეთოდია ტურისტთა მომსახურებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. წიგნი 5. თბ., 1990. გვ. 226-347.
2. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941.
3. ვ. შუბლაძე „საქართველო და ტურიზმი“,
4. ა. ოქროცვარიძე, ლ. ოქროცვარიძე. „ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“, თბ., 2011.
5. საქართველოს პარლამენტი. <http://www.parliament.ge/>
6. სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://www.geostats.ge>
7. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.
8. მცხეთის მუნიციპალიტეტი. <https://ka.wikipedia.org/wiki//>
9. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბ. 1938.
10. წმინდა მამათა გამონათქვამები <https://www.droni.ge>

Tourism development prospects in Mtskheta municipality

Jemal Sologashvili

Professor of the Faculty of Medicine  
at Caucasus International University

Lali Okrotsadze

Associate Professor of Business Faculty  
of Caucasus International University

annotation

Tourism is one of the perspective of modern economic development of Georgia. The resurgence of tourism can create a great opportunity for the development of cultural tourism in the country, taking into consideration the historical richest heritage of Mtskheta, in terms of sights and views. The presented work is dedicated to the idea of tourism development, especially in Mtskheta.

The priority aspect of this work is to study and assess the potential of the ancient capital city of Mtskheta near the capital of Georgia in the direction of tourism development. Mtskheta has rare opportunities to become a tourist center not only in Georgia, but for tourism in the world as a very interesting place because Mtskheta Municipality has rare recreational zones with convenient geographical location, landscape, historical monuments, where the pedestrian and biking are available. In turn, tourism development will enhance the infrastructure of the village.

აუდიტორული საქმიანობის ხარისხზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი



ლალი ბუჩუკური  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
დოქტორანტი.  
ელ.ფოსტა: lali.buchukuri@gmail.com  
ტელ: 596 23 35 35

ახალი ეპოქისათვის THE NEW ECONOMIST

ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, როდესაც მნიშვნელოვანია კაპიტალის თავისუფლად გადაადგილების ფაქტორი, აუდიტორულ საქმიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საზოგადოების დიდი ნაწილი გადაწყვეტილების მიღებისას დამოკიდებულია ისეთ ინფორმაციაზე, რომელზეც მას კონტროლი არ გააჩნია და უნდა დაეყრდნოს პროფესიული აუდიტორების მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგებს, გამომდინარე აქედან აუდიტის ხარისხის კონტროლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

აუდიტის საერთაშორისო პრაქტიკამ გამოავლინა, რომ აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლი შეუძლებელია აუდიტორული ფირმებისა და დამოუკიდებელი აუდიტორების მუშაობის შედეგების შემოწმებისა და ხარისხის კონტროლის სისტემის ფუნქციონირების ეფექტური მეთვალყურეობის გარეშე. სტატიაში განხილულია საერთაშორისო პრაქტიკაში გამოყენებული აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მაჩვენებლები, ჩამოყალიბებულია ხარისხის კონტროლის სისტემა ეროვნულ დონეზე მოქმედი აუდიტორული კომპანიების სპეციფიკის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: აუდიტორული საქმიანობა, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლი, აუდიტი ხარისხის მაჩვენებლები.

პროფესიულმა ორგანიზაციებმა აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლის განმახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს და მას შემდეგ უწყვეტად მიმდინარეობს. ხარისხის კონტროლის შესახებ პირველად ამერიკის ნაფიც ბუღალტერთა ინსტიტუტმა (AICPA) 1978 წელს შეიმუშავა აუდიტორული სტანდარტების დებულება (SAS)#25, „აუდიტის საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებისა და ხარისხის კონტროლის სტანდარტების კავშირი“. აღნიშნული დებულება აუდიტისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარისხის კონტროლის სტანდარტების, დებულებებისა და ინსტრუქციების შემუშავების საფუძველი გახდა.

საერთაშორისო პრაქტიკაში, აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა მოიცავს სამ კომპონენტს:

- სტანდარტებს;
- ეთიკის პრინციპებს;
- აუდიტის ხარისხის შიდა და გარე შემოწმებას.

ქვეყნებში, რომლის ეკონომიკაში ფინანსური ბაზარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლი მარეგულირებელი ორგანოების მონიტორინგის სფეროს წარმოადგენს.

აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა აერთიანებს მარეგულირებელი ორგანოების, სტანდარტების შემუშავებლისა და ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტთან დაკავშირებულ საჯარო პროფესიული გაერთიანებების საქმიანობას. აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემაში ორგანიზაციების ჩართულობა სხვადასხვა დონეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში #1.

აუდიტორები ვალდებული არიან იმოქმედონ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტისა და აუდიტის ხარისხის კონტროლის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე პროფესიული ეთიკის კოდექსისა და სხვა მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით. ამასთან ერთად, საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების მიერ გამოცემულია დებულებები, რომლებიც



**აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა<sup>1</sup>**

<b>სისტემის კომპონენტები</b>	<b>ორგანიზაციების ჩართულობა</b>
<b>სტანდარტები</b>	<b>IFAC (International), AICPA (US), PCAOB (US), FRC (UK), European Commission, etc.</b>
<b>ეთიკის პრინციპები (IFAC under AICPA)</b>	<b>პროფესიული და მარეგულირებელი ორგანიზაციები</b>
<b>სასტანდარტო (საჯარო) რეგულირება (გარე)</b>	<b>PCAOB (US)</b>
<b>თვითრეგულირება - (შიდა)</b>	<b>პროფესიონალ პუბლიკერთა გაერთიანებები</b>
<b>პროფესიული დონის მონიტორინგი და დისციპლინარული ზომების მიღება (ფიზიკის დონეზე)</b>	<b>პროფესიული ორგანიზაციები და სასტანდარტო (საჯარო) ფორმები</b>
<b>დისციპლინარული ზომების გატარება და სანქციების დაწესება</b>	<b>მარეგულირებელი და სასამართლო ორგანიზაციები</b>

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სარეკომენდაციო ხასიათისაა და რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს:

- საერთაშორისო აუდიტორულ და ეროვნულ დონეზე მოქმედ კომპანიებსა და ბუღალტერთა პროფესიულ ასოციაციებს გაეცნონ თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს აუდიტის ხარისხი;

- ამაღლოს დანტერესებული მხარეების ცნობიერება აუდიტის ხარისხის მნიშვნელოვანი ელემენტების შესახებ.

ამ მიზნით, აუდიტისა და მარეგულირებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ შემუშავებულია აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემა, რომელშიც გამოყოფილია აუდიტის ხარისხზე მოქმედი შემდეგ ელემენტები:

- 1) საბაზისო ფაქტორები;
- 2) პროცესი;
- 3) შედეგთან დაკავშირებული ფაქტორები;
- 4) ფინანსური ანგარიშგების „მიწოდების ქსელის“ ძირითადი მონაწილეები;
- 5) კონტექსტუალური (გარემო) ფაქტორები.

საბაზისო ფაქტორად მოიაზრება:

- აუდიტორების ცოდნა;
- აუდიტორების კვალიფიკაცია;
- აუდიტორების გამოცდილება;
- აუდიტორების დამოკიდებულება ეთიკის ნორმებთან.

აუდიტის განხორციელებისას პარტნიორს უნდა აკმაყოფილებდეს გუნდი, რომელიც მუშაობს კონკრეტულ ობიექტზე –ანუ, მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კომპეტენცია და საკმარისი დრო, რომ მიიღონ შესაბამისი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნის გაცემამდე. ამდენად, მნიშვნელოვანია პარტნიორსა და გუნდს, რომელიც მუშაობს ობიექტზე ჰქონდეთ აუცილებელი უნარები, ესმოდეთ ორგანიზაციის ბიზნესი, შეეძლოთ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება. პარტნიორი აქტიურად უნდა იყოს ჩართული დაგეგმვის, რისკის შეფასების პროცესში და უნდა განიხილავდეს და ზედამხედველობას უწევდეს შესასრულებელ სამუშაოს.

პროცესთან დაკავშირებული ფაქტორები:

პროცესთან დაკავშირებული ფაქტორები განსაზღვრავენ იმას, რომ აუდიტი უნდა განხორციელდეს აუდიტის სტანდარტებისა და აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის პროცედურების მიხედვით, რომლებიც შეესაბამება ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს 1 (ISQC 1). გარკვეულ შემთხვევებში, აუდიტორული ფირმების მეთოდოლოგიითა და შიდა პოლიტიკით გათვალისწინებულია უფრო კონკრეტული მითითებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: თუ

1. Bahram Soltani , AUDITING An International Approach, Financial Times, 2007.

ვინ უნდა აიღოს ვალდებულება კონკრეტული საქმის შესრულებაზე, ასევე, შიდა საკონსულტაციო პირობებზე, დოკუმენტაციის ფორმატზე და ა.შ.

მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას რამდენად ფლობს პერსონალი აუდიტის სტანდარტებს, შესაბამის კანონებსა და რეგულაციებს, აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის პროცედურებს. სათანადოდ ფლობენ თუ არა ფირმის თანამშრომლები საინფორმაციო ტექნოლოგიებს. ტარდება თუ არა სათანადო ღონისძიებები ეფექტური შედეგის მისაღწევად.

შედეგთან დაკავშირებული ფაქტორები შეიძლება განვიხილოთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. აუდიტორების ანგარიში მომხმარებლებისთვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტის შედეგის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია აუდიტორის მოსაზრება, რომელსაც ემყარება მომხმარებლების ნდობა ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის შესახებ.

2. ანგარიშგების გამჭვირვალობა. ინფორმაციის გასაჯაროვება და ეხმარება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, მათ ვინც კარგად არ არიან გაათვითცნობიერებული აუდიტის პროცესებში, აუდიტორული ფირმების თავისებურების გარკვევაში.

ფინანსური ანგარიშგების „მიწოდების ქსელის“ ძირითადი მონაწილეები.

მიწოდების ქსელის მონაწილე რგოლებს შორის შეთანხმებული ურთიერთქმედება წარმოადგენს მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვან წინაპირობას და გააჩნია განსაკუთრებული გავლენა აუდიტის ხარისხზე.

კონტექსტუალური (გარემო) ფაქტორები:

სხვადასხვა ქვეყანაში ფინანსური ანგარიშგების შედგენა და აუდიტის განხორციელება სხვადასხვა გარემოში მიმდინარობს. ზოგიერთ ქვეყანაში ბიზნეს პრაქტიკა შეიძლება ნაკლებად აკმაყოფილებდეს საერთაშორისო მოთხოვნებს და ასევე, ბიზნეს სამართალი ნაკლებად იყოს განვითარებული. ასეთ ქვეყნებში შესაძლოა უცხოური ფინანსური ანგარიშგება იყოს შეზღუდული და მომხმარებელთა მოლოდინიც შესაბამისად დაბალი. რამდენადაც

ქვეყანა ვითარდება, შესაბამისად იზრდება ბიზნესის მასშტაბი და წარმოქმნებათ საჭიროება მოიზიდონ ფინანსები კაპიტალის ბაზრებიდან. ასეთ ვითარებაში ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელობა და მომხმარებლის მოლოდინი მის საიმედოობაზე გამუდმებით იზრდება.

გარემო ფაქტორებს ანუ კონტექსტუალურ ფაქტორებს გააჩნიათ პოტენციალი ერთობლივად იმოქმედონ ფინანსური ანგარიშგების ხარისხზე და პირდაპირ თუ არაპირდაპირ აუდიტის ხარისხზეც. კონტექსტუალური ფაქტორები მოიცავს:

1. ბიზნეს სამართალს;
2. აუდიტის რეგულაციებს;
3. სამართალწარმოების გარემო პირობებს;
4. პროფესიონალი კადრების მოზიდვას;
5. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის განრიგს;
6. კულტურულ ფაქტორებს;
7. ინფორმაციულ სისტემებს;
8. კორპორატიულ მმართველობას;
9. მოქმედი ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას

აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონტროლის ელემენტები საკმაოდ სპეციფიკური სფეროა, ამდენად, მათი შემუშავებისას გასათვალისწინებელია ხარისხის კონკრეტულად რომელი პროცედურებია მისაღები, ამა თუ იმ ორგანიზაციისთვის. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფირმის მასშტაბები, დასაქმებული აუდიტორების რაოდენობა, პრაქტიკული საქმიანობა და ა.შ. მაგალითად, განსხვავებულია საერთაშორისო აუდიტორული ფირმების (დიდი ოთხეული, რომლებსაც გააჩნიათ 150-ზე მეტი ოფისი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში) ხარისხის კონტროლის მოთხოვნები, ისეთი ფირმებისაგან რომელთაც 5-10 აუდიტორი ყავთ დასაქმებული. ასეთი ფირმების და ინდივიდუალურად მომუშავე დამოუკიდებელი აუდიტორების ხარისხის კონტროლის პროცედურების მომზადებისას კარგად უნდა იქნას გააზრებული და პრაქტიკაში დანერგილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები
2. როგორ ჩავატაროთ აუდიტი, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი 2011 წ. გვ. 205-2010.
3. ჭუმბურიძე ლ; ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება; თბილისი 2014 წ.
4. აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის ბაფი-ის სტანდარტი; ჟურ., აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. # 9(93); თბილისი 2007 წ. გვ 18-20
5. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის 2015 წლის საერთო კრება; ჟურ., აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები; #5 (185) 2015წ. გვ 1-6.
6. DIRECTIVE 2014/56/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 16 April 2014
7. Directive 2006/43/EC on statutory audits of annual accounts and consolidated accounts
8. A FRAMEWORK FOR AUDIT QUALITY, KEY ELEMENTS THAT CREATE AN ENVIRONMENT FOR AUDIT QUALITY, FEBRUARY 2014, IAASB. <https://www.ifac.org/publications-resources/framework-audit-quality-key-elements-create-environment-audit-quality>.
9. STANDING ADVISORY GROUP MEETING, DISCUSSION – AUDIT QUALITY INDICATORS, MAY 15-16, 2013, PCAOB.

Analysis of factors affecting the quality of audit activity

Lali Buchukuri,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Phd in Economics,  
Faculty of Business Administration  
E-mail: Lali.buchukuri@gmail.com

annotation

Within modern market economy environment, financial account information transparency and its fulfilment for external consumers is highly depended on accounting records and impruvment of audit system in the country. Successful functioning of business depends on management organizational level and structure, as well as on the reliability quality of financial information for external customers. This could be achieved without perfect regulation of audit. Therefore, quality control of audit activity has great importance.

Key words: Auditing activities, quality control of audit activity.

სამართლის ეკონომიკის შესახებ

ნინო ჯიბუტი  
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ადამიანთა საზოგადოებისათვის დასაბამიდან აკრძალვა და არჩევანი მუდმივი თანმდევი დილემაა. ის, როგორც სამართლებრივი და ეკონომიკური, გახდა შემდგომ სახელმწიფოს ფორმირების ქვაკუთხედი, სადაც აკრძალვები სამართლებრივად განისაზღვრა, ხოლო ეკონომიკურად კი ჩამოყალიბდა, როგორც მისწრაფება შეზღუდული რესურსების თავისუფალი არჩევანისაკენ. ეს უკანასკნელი შემდგომ განვითარდა ეკონომიკური მოძღვრებებში რაციონალურობისა და ეფექტიანობის მიმართულებით, რამაც შექმნა თეორიული საფუძველი სამართლისა და ეკონომიკის თანამედროვე განვითარებისათვის, სამართლის ეკონომიკის, ანუ სამართლებრივი ნორმების გამოყენებისა ეკონომიკური მიზანშეწონილობა სახით.

საკვანძო სიტყვები: სამართალი, ეკონომიკური დოქტრინები, სამართლის ეკონომიკა, ეფექტიანობა

ყველა ქვეყანაში სახელმწიფო სისტემის მოწყობის შესაბამისად იქმნება სამართლებრივი რეგულირებისა და ეკონომიკის კავშირის განსხვავებული მოდელები. საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკური ძალაუფლების განაწილება უთანაბრობადაგარიგებების პროცესში შესაძლებელი ხდება დისკრიმინაცია, ან მონოპოლიური და ოლიგოპოლიური ფასწარმოქმნა და რესურსების განკარგვა. ამ პროცესებში სახელმწიფოს ინტერვენცია აუცილებელი ხდება იმისათვის, რომ უზრუნველყოს „ღია ეკონომიკურ სივრცეში“ ეროვნული საწარმოების კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება, მცირე საწარმოების დაცვა და სტიმულირება, ტრანსნაციონალური კომპანიების და „ვიოლენტების“ დისკრიმინაციული და დემპინგური ქცევებისაგან განთავისუფლება, არაკეთილსინდისიერი და არაფასობრივი კონკურენციისაგან დაზღვევა.

წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესების შედეგად მოხდა კაპიტალის გამსხვილება, ჩამოყალიბდა გიგანტური კორპორაციები, რომლებიც ეკონომიკის „ხერხემლად“ გადაიქცა. ბაზრები დანაწილებული იქნა სწორედ ამ კორპორაციებს შორის და მათი მონოპოლიური ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდა. მასშადად, ნათელი გახდა, რომ ბაზარი ახალ პირობებში სრულებითაც აღარ წარმოადგენდა იმ თვითრეგულირებად და თვითკორექტირებად სისტემას, როგორცაც ის წინათ აღიქმებოდა.

არსებითად შეიცვალა კონკურენციის როლი და მექანიზმი.

სახელმწიფო მოწოდებულია შეცვალოს ის ნაკლოვანებები, რომლებიც საბაზრო მექანიზმს თან ახლავს. ბაზარს აქვს ნეგატიური ასპექტები. კერძოდ, იგი არ უწყობს ხელს გარემოს დაცვას; ახდენს რესურსების ინტენსიურ გამოყენებას და ექსპლოატაციას, არ ქმნის საზოგადოებრივი და კოლექტიური მოხმარებისათვის განკუთვნილ პროდუქციას და მომსახურებას, არ ემსახურება ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, არ მონაწილეობს ისეთი საქმიანობების განვითარებაში, რომელიც არამომგებიანი, მაგრამ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია, ხასიათდება არასტაბილური და ციკლური განვითარებით. ამასთან, შრომის ბაზარი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სრულ დასაქმებას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, მაგრამ შრომისუნარიანი ადამიანების დასაქმებას, ხანდაზმულთა სოციალურ დაცვას და სხვ. ამ და სხვა მიზეზების გამო სახელმწიფო ახორციელებს ინტერვენციებს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაში და მკრო და მიკროეკონომიკური პროცესების ფორმირებაში. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირება ხდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ბერკეტების გზით.

ქვეყნების მარეგულირებელი სტრატეგია ძირითადად მიმართულია საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ





საწარმოების რეგულაციებითა და მიმზიდველი გარემოს ფორმირებით. თუმცა როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, საწარმოების რეგულირებისას მათი ადამიანის უფლებებზე ასახვა არ არის სრულყოფილად გაცნობიერებული.<sup>1</sup> ქვეყნების მარეგულირებელი კანონმდებლობები სამართლის სოციალურ პასუხისმგებლობას ნაკლებად ეხება.

დღემდე ეკონომიკისადმი სამართლებრივი დამოკიდებულება განიხილებოდა როგორც ზედმეტად აღწერითი და ფორმალური. სამართლებრივი დასკვნები გამოხატავდნენ რაციონალურ რევოლუციებს, ეთიკურ და მორალურ ღირებულებებს, ან უბრალოდ ჰქონდათ საეჭვო შემთხვევითი ემპირიული ხასიათი.<sup>2</sup>

ამჟამად ხდება ახალი მოდელის ფორმირება, რომელიც ასახავს სამართლისა და ეკონომიკის კავშირს: ეკონომიკის რეგულირებას სამართლის ეკონომიზაციის გზით. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელი ხდება არა სამართლებრივი ნორმები, როგორც ტიპიურ სამართლებრივი რეგულირებისას ხდება ხოლმე, არამედ სამართლებრივი ნორმების გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლის ეკონომიზაცია.

დღეს საკითხი არ დგას „ან სახელმწიფო“ „ან ბაზარი“, როგორც ეს გასულ საუკუნეში იყო. სახელმწიფო რეგულირება ორგანულადაა ინტეგრირებული ბაზართან და ეკონომიკური თვალსაზრისით არის ორიენტირებული არა მარტო ინდივიდუალურ სარგებლიანობაზე, არამედ მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. სახელმწიფო მონაწილეობს ეკონომიკაში იმდენად, რამდენადაც თავისუფალი კონკურენციის და მაკროეკონომიკური ბალანსის შენარჩუნება მოითხოვს. ამ მიზნით გამოიყენებს რეგულირების მრავალ მექანიზმს, როგორც ფულად საკრედიტო და ფისკალურს, ასევე ინტიტუციურ ინსტრუმენტებს, როგორცაა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გამტარებელი ინსტიტუტებისა და მეწარმეობის მხარდაჭერი ეკონომიკური სტრუქტურების ფორმირება, მწარმოებელთა სხვადასხვა ასოციაციების ხელშეწყობა და სხვ.

ეს საკითხები სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების ფორმირებით ხორციელდება, ამიტომ ობიექტურად საკითხი დგება იმის შესახებ, თუ მარეგულირებელმა ნორმებმა და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური ფუნქციების შესრულებისას სამართლებრივმა უზრუნველყოფამ რამდენად განსაზღვრა ეკონომიკის განვითარება იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომელიც ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას ავლენს. შესაბამისად სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სამართლებრივი უზრუნველყოფის შეფასება სახელმწიფოს ეკონომიკაში ინტერვენციის შეფასებას წარმოადგენს.

ეკონომიკასა და სამართალს შორის კავშირი განსაკუთრებით აქტუალური გახდა გასული საუკუნის 30-იანი წლების „დიდი დეპრესიის“ პერიოდში. გამორჩეული გახდა ჩიკაგოს სკოლის და საზოგადოებრივი არჩევანის მიმართულების მიმდევრების ნაშრომები. მათ ინტენსიურად დაიწყეს ეკონომიკური ანალიზის დანერგვა რეგულირებაში.<sup>3</sup> დაიწყო ეკონომიკისა და სამართლის შესახებ დისკუსია და ამ მიზნით გამოვიდა ჟურნალი „Journal of Law and Economics“. XX საუკუნის 60-70-იან წლებში თავდაპირველად აშშ-ს უნივერსიტეტებში დაიწყო „ეკონომიკა და სამართალი“ საგნის სწავლება.

ჩიკაგოს სკოლა მოითხოვს „მეტ ეკონომიკურ მიდგომას“ სამართალში და კონკურენციის ინსტიტუტების ნაკლებ ინტერვენციას საბაზრო ურთიერთობებში. გარი ბეკერმა ეკონომიკური ასპექტებიდან არაეკონომიკური მოვლენების, მათ შორის რელიგიის, სოციალური დისკრიმინაციის, კანონმდებლობის, პოლიტიკის და სხვ., ახსნას შეეცადა და ასეთ ეკონომიკას „ეკონომიკური იმპერიალიზმი“ უწოდა.<sup>4</sup>

„მეტ ეკონომიკური მიდგომას“ სამართალში დაეყრდნო ჩიკაგოს სკოლასთან ასოცირებულ მრავალი მეცნიერის - რონალდ ქოუზის, ევგენი ფამას, რობერტ ფოგელის, მილტონ ფრიდმანის, ლარს ჰანსენის, ფრიდრიხ ჰაიეკის, რობერტ ლუკასის, რიჩარდ პოზნერის, ჯორჯ სტიგლერის და სხვ. კვლევები.

ზოგიერთი მეცნიერი ჩიკაგოს სკოლას

1. Corporate Law Project. Overarching trends and Observations. Mandate of the Special Representative of the Secretary-General (SRSG) on the Issue of Human Rights and Transnational Corporations and other Business Enterprises, July 2010, United Nations. <http://www.reports-and-materials.org/sites/default/files/reports-and-materials/Ruggie-corporate-law-project-Jul-2010.pdf>.  
 2. Velianovski, C. The Economics of Law, The Institute of Economic Affairs, London, 2006, p.12. <http://www.iea.org.uk/sites/default/files/publications/files/upldbook391pdf.pdf>.  
 3. Velianovski, C. The Economics of Law, The Institute of Economic Affairs, London, 2006.  
 4. Becker G., Economic Imperialism, Acton Institute, 2010, <https://acton.org/pub/religion-liberty/volume-3-number-2/economic-imperialism>.

პერსონალის კონტროლინგის სისტემის უმთავრეს ამოცანას ორგანიზაციაში წარმოადგენს პერსონალის მართვის პროცესების კოორდინაცია და სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების საინფორმაციო უზრუნველყოფა, რათა ამადლდეს პერსონალის მართვის ხარისხი ორგანიზაციაში. თითქმის მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი ა. კიბანოვი თავის ნაშრომში „პერსონალის მართვის ორგანიზაცია“, როდესაც აღნიშნავს, რომ საკადრო კონტროლინგის მიზანია საკადრო დაგეგმვის მხარდაჭერა; მომუშავეებზე არსებული ინფორმაციის საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება; პერსონალის მართვის ცალკეულ ქვესისტემებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა; საკადრო რისკებისა და ნაკლოვანებების დროულად გამოვლენის საფუძველზე პერსონალის მართვაში მოქნილობის ამაღლება<sup>7</sup>.

პერსონალის კონტროლინგი შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ: პერსონალის მართვის სისტემის საწყისი მდგომარეობა, რომლისთვისაც პერსონალის კონტროლინგის სისტემის ამოქმედება აუცილებლობას წარმოადგენს. ასევე, შევიშუშაოთ და განვახორციელოთ პერსონალის მართვის სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებები.

პერსონალის კონტროლინგი შედარებით ახალი მიმართულებაა პერსონალის მართვის სფეროში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციის პერსონალთან მუშაობის სფეროში ზოგადად კონტროლინგის ინსტრუმენტების პირდაპირი გადატანა უნდა მოხდეს. პერსონალის კონტროლინგს თავისი სპეციფიკურობები გააჩნია.

კონტროლინგი იმყოფება რა აღრიცხვის, საინფორმაციო უზრუნველყოფის, კონტროლისა და კოორდინაციის ურთიერთდაკავეთის ზღვარზე, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციის, მათ შორის პერსონალის მართვაში. მართვის პროცესში პერსონალის კონტროლინგის ადგილი და როლი სწორად რომ წარმოვიდგინოთ, აუცილებელია გავვრკვეთ მის ფუნქციებში.

გამოყოფენ პერსონალს კონტროლინგის შემდეგ ფუნქციებს:

- საინფორმაციო უზრუნველყოფის ფუნქცია. იგი გულისხმობს საინფორმაციო სისტემის აგებას, რომელმაც უნდა მოიცვას ყველა აუცილებელი ინფორმაცია შრომის მწარმოებლობაზე, პერსონალზე გაწეულ დანახარჯებზე და სხვ. ამ ფუნქციის რეალიზება როგორც წესი ხდება საწარმოში პერსონალზე მონაცემთა ბაზის შექმნით;

- საგეგმო ფუნქცია. იგი გულისხმობს საპრონოზო, მიზნობრივ და ნორმატიული ინფორმაციის მიღებას. მაგალითად, ახალი პროდუქციის წარმოებისათვის მომუშავეებზე მოთხოვნა (რაოდენობა, კვალიფიკაციის დონე);

- სამმართველო ფუნქცია. იგი გულისხმობს ნეგატიური ტენდენციების დასაძლევად ღონისძიებების შემუშავებას. მაგალითად, თუ ადგლი ექნება წლის განმავლობაში ერთი მომუშავის მომზადებისათვის საჭირო გეგმურ დანახარჯებასა და ფაქტიურ დანახარჯებს შორის გადახრას, კონტროლინგის სამსახური რეკომენდაციას აძლევს კადრების განყოფილებასა და საფუნანსო დეპარტამენტს განახორციელოს ბიუჯეტში შესაბამისი გეგმის კორექტირება;

- საკონტროლო-ანალიტიკური ფუნქცია. ეს ფუნქცია გულისხმობს მიზნების მიღწევის ხარისხის გაზომვას, პერსონალის მიხედვით დაგეგმილი და ფაქტიური მაჩვენებლების ანალიზს. თუ გადახრა არ სცდება კონტროლინგის სამსახურის მიერ გაანგარიშებულ დასაშვებ ნორმებს, სამმართველო ზემოქმედების განხორციელება არ განხორციელდება. იმ შემთხვევაში, როდესაც საპირისპირო ტენდენციას აქვს ადგილი, მაშინ აღნიშნული სამსახური მიმართავს საწარმოს შესაბამის ქვედანაყოფს და აცნობს მას არსებულ მდგომარეობას. მაგალითად, თუ კადრების დენადობა დასაშვებ ნორმის ფარგლებშია (4-5%), მაგრამ შეიმჩნევა მისი ზრდის ტენდენცია, ამის შესახებ აუცილებელია ეცნობოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

პერსონალის კონტროლინგის ფუნქციებს შორის უნდა გამოვყოთ ადამიანური რესურსების მართვის სფეროში სამმართველო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მხარდამჭერი და მაკოორდინირებელი ფუნქცია. ამ მიმართულებით სხვადასხვა დონეებზე არსებული მიზნების, მათი მიღწევის საშუალებებისა და მეთოდების კოორდინაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს

7. Управление персоналом организации: Учебник / Под ред. А.Я. Кибанова. - 2-е изд., доп. и перераб. - М.: ИНФРА-М, 2002. - 638.

ორგანიზაციის საბოლოო მიზნების მიღწევას.

პერსონალის კონტროლინგის ფუნქციას მიეკუთვნება ასევე ორგანიზაციის მომუშავეებზე და სამუშაო ადგილებზე ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, შემოწმება და გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისათვის მიწოდება. აღსანიშნავია, რომ პერსონალის კონტროლინგის საინფორმაციო უზრუნველყოფა მიიღწევა ორგანიზაციის საქმიანობის საბოლოო შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, ნორმირების, აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის საშუალებით.

დაგეგმვის სფეროში კონტროლინგი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ სხვადასხვა გეგმების კოორდინირება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, ასევე დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება. პერსონალის მართვის სისტემის დასაბუთებული საგეგმო მაჩვენებლების შემუშავებითა და ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება საქმიანობის დაგეგმვა როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში. ამასთან, კონტროლის ფუნქციის შესრულებით პერსონალის კონტროლინგი შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს დაგეგმილიდან ფაქტიური მაჩვენებლების გადახრების ანალიზი, ამ გადახრების გამოძწევი მიზეზების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა. შრომითი მაჩვენებლების გადახრების სისტემატური კონტროლი შესაძლებლობას იძლევა მყისიერად ვიმოქმედოთ პერსონალის მართვის სფეროში წარმოშობილ სუსტ ადგილებზე.

საბოლოოდ, პერსონალის კონტროლინგი ხელს უწყობს კონტროლის ჩანაცვლებას თვითკონტროლით, რაც მთლიანობაში განაპირობებს ორგანიზაციის მომუშავეებს შორის მეტ ურთიერთგაგებასა და ურთიერთთანამშრომლობას, გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვას დასახული მიზნების მისაღწევად.

კონტროლინგის სისტემა, ისევე როგორც მართვის ნებისმიერი კონცეფცია, გარკვეულ კანონებსა და კანონზომიერებებს ეყრდნობა. შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი კანონზომიერება, რომელიც პერსონალის კონტროლინგის სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნების ფორმირების საფუძველს წარმოადგენს, ესენია:

- ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნებისადმი, გარე გარემოს განვითარების დინამიკასა და განვითარების ტენდენციისადმი პერსონალის კონტროლინგის სისტემის შესაბამისობა;
- საკადრო კონტროლინგის ქვესისტემებს შორის არსებული ურთიერთკავშირისა და

ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინება;

- პერსონალის სისტემის ყველა შემადგენელი ელემენტის განვითარება და სრულყოფა. რომელიმე მათგანის იგნორირებამ ან არასათანადო ყურადღების დათმობამ შეიძლება მთლიანად მოშალოს სისტემის ფუნქციონირება;

- მეცნიერულობა, ზოგადად კონტროლინგის სფეროში არსებული ინოვაციების გამოყენება;

- კომპლექსურობა, პერსონალის კონტროლინგმა სრულად უნდა მოიცვას საკადრო საქმიანობის მთელი სფერო და პერსონალის მართვის ყველა დონე.

პერსონალის კონტროლინგი წარმოადგენს საწარმოს საერთო კონტროლინგის შემადგენელ ნაწილს. ამიტომ, მისი მიზნები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ საწარმოს მიზნებს, არამედ უნდა გამომდინარეობდნენ მისგან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პერსონალის მართვის სისტემა საწარმოს მართვის სისტემის შემადგენელი ნაწილია და მისი ეფექტიანობა მთლიანობაში, საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებით განისაზღვრება.

პერსონალის კონტროლინგში, ისევე როგორც ზოგადად კონტროლინგის სისტემაში შეიძლება გამოვყოთ ოპერატიული, ტაქტიკური და სტრატეგიული დონეები.

ოპერატიული კონტროლინგის მთავარ მიზანს წარმოადგენს დადგენილი გეგმური მაჩვენებლების მისაღწევად სამმართველო პერსონალის ხელშემწყობი მეთოდური, საინფორმაციო და ინსტრუმენტალური სისტემის შექმნა. ოპერატიული დონე ყოველთვის ორიენტირებულია უშუალოდ მომუშავეზე ან სამუშაო ადგილზე.

საწარმოში პერსონალის კონტროლინგის ოპერატიულ ამოცანებს მიეკუთვნება: პერსონალის შერჩევა; კადრების განლაგება; მომუშავეების განვითარება; პერსონალის ხელმძღვანელობა; სერვისის მომუშავეებისათვის; პერსონალის მარკეტინგი; მომუშავეების მოტივაცია; დათხოვნა. ოპერატიული დონის ამოსავალი მონაცემების გამოყენება ხდება ტაქტიკურ და სტრატეგიული დონეებზე სამმართველო გადაწყვეტილებების დასაბუთებისათვის.

ტაქტიკურ დონეს ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებს შორის შუალედური პოზიცია უკავია, სადაც დაგროვილი ინფორმაცია გამოიყენება უფრო მაღალსტრატეგიულ დონეზე.

პერსონალის კონტროლინგის სტრატეგიულ ამოცანებს მიეკუთვნება: კონცეფციის შემუშავება პერსონალის სტრატეგიის სფეროში; პერსონალის

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ორიენტირებულია ორგანიზაციის შიდა და  
 სტრატეგიული დაგეგმვა საწარმოს სხვა გარე გარემოს შეფასებაზე, რათა გამოავლინოს  
 სტრატეგიულ გეგმებთან შესაბამისობაში; განვითარების სუსტი ადგილები, სირთულე-  
 პერსონალთან დაკავშირებით სტრატეგიული ბიდან თავის დაღწევის შესაძლებლობები და ხელი  
 მიზნების მიღწევების კონტროლი. შეუწყოს განვითარებას.

სტრატეგიული კონტროლინგი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pappmehl, Andre, Personal-Controlling. Heidelberg (Sauer). 1990.
2. Potthoff, Erich/Trescher, Karl Controlling in der Personalwirtschaft, Berlin-New York, 1986.
3. Wiehl U. Fruhwarnung im Personalbereich? in Personal 40, 1988.
4. Wunderer Rolf/Sailer M. Personalcontrolling in der Praxis Entwicklungsstand. Erwartungen. Aufgaben Personal Wirtschaft. 1988.
5. Weber J. Einfuehrung in das Controlling. - 7. Aufl. - Stuttgart: Schaffer-Poeschel 1998.-410.
6. Н.Н. Старцева, Аудит и контролинг персонала : учеб. пособие / Н. Н. Старцева. – Екатеринбург : УрГУПС, 2016.
7. Управление персоналом организации: Учебник / Под ред. А.Я. Кибанова. - 2-е изд., доп. и перераб. - М.: ИНФРА-М, 2002.

Personnel Controlling Position in Integrated Controlling System

Alexandre Nachkebia

PhD student of Sokhumi State University

Summary

Personnel Controlling — it is a modern conception, which is in compliance with the greater importance of human resources in companies' activities. It can be also considered, as a system of incompany planning and control in the field of human recourses, which makes it possible, to give a specific action type to the planning indicators, also to set up the main provisions of personnel management.

The personnel controlling represents a component of integrated controlling of the enterprise. Therefore its goals should not contradict one another, but it must be appeared from this. It is especially important, insofar as the personnel management system is the component of enterprise management system and its effectiveness in general, is defined by the final results of the enterprise activity.



ივანე ჯავახიშვილი



რუბრიკა მიჰყავს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ფაზისის საერთო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილ წევრს, ომარ შუღრას

თამთა კაპანაძე  
ფილოლოგი  
ტელ.: 598 43 71 25  
ელ.ფოსტა: tamtakanadze72@gmail.com

ახალი ეპოქისიზმი THE NEW ECONOMIST

„ვანო ჯავახიშვილი არა თუ ჩვენი საერთო ამხანაგი, იგი იყო ჩვენი კლასის სინდისი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით... სწორედ ვანო ჯავახიშვილი იყო, რომ ცუდი ქცევისგან თავს შეგვაკავებინებდა ხოლმე...“ – წერს ივანე ჯავახიშვილის ამხანაგი (გიმნაზიის სწავლის პერიოდში), ცნობილი ექიმი, გაბრიელ ფონდოევი, რაც ცხადყოფს, რომ ივანე, პატარა ასაკიდან იყო მოწოდებული მაღალი სულიერი ღირებულებების მქონე პიროვნებად და შემდეგ უკვე დიდ მეცნიერად.

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა თბილისში, ალექსანდრე ჯავახიშვილისა და სოფიო ვახვახიშვილის ოჯახში. მამამისი, თავადი ალექსანდრე ჯავახიშვილი გიმნაზიის მასწავლებელი იყო. 1895 წელს ივანე ჯავახიშვილმა დაასრულა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, 1899 წელს კი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილება. 1899-1901 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის მაგისტრანტი. 1901-1902 წლებში იგი მიიწვიეს ბერლინის უნივერსიტეტში (გერმანია). 1902 წელს ის ნიკო მართან ერთად გაემგზავრა სინას მთაზე ქართული ხელნაწერების აღსაწერად. 1903 წელს მან დაიწყო ლექციების კითხვა პეტერბურგის უნივერსიტეტში, აღმოსავლური ფაკულტეტის ქართული და სომხური ფილოლოგიის კათედრაზე, როგორც პრივატ-დოცენტმა. 1913 წლის 13 მაისს ნაშრომისთვის „ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“ მას მიენიჭა მაგისტრანტის სამეცნიერო ხარისხი.

1907-1917 წლებში იგი ხელმძღვანელობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. 1907 წელს დაარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და 1921-27 წლებში უძღვებოდა ამ

საზოგადოებას. 1918 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1917 წელს ცარიზმის დამარცხებამ და თებერვლის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში შესაძლებელი გახადა არარუსულენოვანი უნივერსიტეტის დაარსება. 1918 წლის 13 იანვარს შედგა თბილისის უნივერსიტეტის პირველი სხდომა და რექტორად ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს, თუმცა მან უარი განაცხადა და რექტორად პეტრე მელიქიშვილი დანიშნეს. მაგრამ, ფაქტობრივად, რექტორი ი. ჯავახიშვილი იყო, რადგან მის გარეშე პ. მელიქიშვილი არაფერს წყვეტდა. 1919-1926 წლებში ამავე უნივერსიტეტის რექტორი, 1918-1938 წლებში ის თსუ-ის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი, 1936-1940 წლებში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საქართველოს ისტორიის განყოფილებას ედგა სათავეში. ი. ჯავახიშვილის მუზეუმში მოღვაწეობის პერიოდს იხსენებს პროფესორი ალექსანდრე ბარამიძე და წერს, რომ: „შესვენების დროს მუზეუმის ეზოში სეირნობდა, უყვარდა საქმიანი მუსაიფი. ცნობილია მისი საარაკო აკურატურობა, გასაოცარი შინაგანი დისციპლინა, დიდი შრომისმოყვარეობა და მკაცრი რეჟიმის მიმდევრობა“.

ერთდროულად იყო კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტი, 1937 წლიდან რუსთაველის სახელობის მუზეუმის დირექტორი. 1939 წელს არჩეულ იქნა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოსა და კავკასიის ისტორია და ისტორიოგრაფია, ქართული ეკონომიკისა და სამართლის ისტორია, კავკასიის ეთნოლოგია, საქართველოს ეთნოგრაფია, კავკასიური ენები, საქართველოს საისტორიო გეოგრაფია, ქართული



მუსიკალური ხელოვნების ისტორია, ითვლებოდა ისტორიული წყარომცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლად. იყო 170-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 20-ზე მეტი მონოგრაფიის ავტორი.

მეტად საინტერესოა ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა ქართული ფილოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სწორედ მან დაუდო საფუძველი ქართული ფილოლოგიის მეცნიერების განვითარების ახალ საფეხურს.

მის მიერ დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა ქართულმცოდნეობის ახალი მძლავრი კერა, ფასდაუდებელია მისი გამოკვლევები რუსთაველოლოგიის საკითხში.

ივანე ჯავახიშვილის ჭაბუკობის მეგობრები იხსენებენ მის საზაფხულო არდადეგებს სოფელში. „კასპსა და გორს შორის, მდინარე თეზამის მხარეს ცხენზე ამხედრებულს უყვარდა ჯირითი... დიდი ყურადღებით გულდასმით ვუსმენ ვანოს და მაკვირვებს მისი ნაკითხობა და ენთუზიაზმი.

გაოცებული ვარ როდესაც მის ხელში ვხედავ ვიოლინოს და მასზე დაკვრას სწავლობს...” –

მუსიკა პყვარებია. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ დაქორწინდა პირველ ქართველ მევიოლინე ქალზე, რომელიც ერეკლე მეორის შვილიშვილი იყო. შესანიშნავი ბაღი (სახლით) ი. ჯავახიშვილის ქუჩაზე ახლაცაა (კათოლიკური ელესიის პირდაპირ). ივანეს შვილთაშვილი კი ახლაც ვიოლინოს დამზადების ოსტატობითაა ცნობილი.

როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილი იყო მაღალზნეობრივი ბუნების მქონე პიროვნება, მისი ნიჭი გამოვლინდა ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა ასპექტში. თავისი მოღვაწეობით მომავალ თაობას არაერთი, ერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქმე დაუტოვა. ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ერის სიამაყეა, ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის მეცნიერებამ ფესვი გაიდგა ჩვენში, აღორძინდა და ბევრი ღირსეული კორიფე გაგვიზარდა, სწორედ ივანე ჯავახიშვილის მიერ დათესილი კეთილი თესლი ნაყოფია, რომელსაც ჩვენი საზოგადოება სიამაყით იმკის.

ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა 1940 წლის 18 ნოემბერს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ალ., ახალი წარსულიდან, (მოგონებანი), მეორე შევსებული გამოცემა, გამომც., „მეცნიერება“, თბ. 1987 წ.
2. თაყაიშვილი ე., რჩეული ნაშრომები, ტ. 1, თბ., 1968 წ.
3. მაყაშვილი კ., „ჩვენი მეცნიერება“, 17-18, 1926 წ.
4. ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თხუ – 100, გაზეთი - „ახალი განათლება“, 6 (800), 2018 წ.

# ლეო ჩიქავა - ღირსეული ქართველი, უნიჭიერესი მეცნიერი!



2018 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა მე-6 საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ლეო ჩიქავას დაბადებიდან 90 წლისთავს.

მოხსენება თემაზე „ლეო ჩიქავას თეორიული მემკვიდრეობის პრაგმატული მნიშვნელობა“ გააკეთა პროფესორმა ნოდარ ჭითანავამ.

გთავაზობთ მის მოსაზრებებს აკადემიკოს ლეო ჩიქავას შემოქმედებაზე.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

დღევანდელ შეხვედრას, რომელიც კონფერენციის ფორმით ტარდება, შემეცნებით და ემოციურ დატვირთვასთან ერთად, მკაფიოდ გამოკვეთილი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ტექნიკური უნივერსიტეტი პატივს მიაგებს ლეო ჩიქავას ხსოვნას - პიროვნებისას, რომლის პროფესიონალად ფორმირება პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოხდა. აქ დიდი ტრადიციების სასწავლო კერაში ლეო ჩიქავა ჩამოყალიბდა, როგორც უმაღლესი სკოლის უმაღლესი რანგის პედაგოგი, მასშტაბური აზროვნების მკვლევარი, მეცნიერების თვალსაჩინო ორგანიზატორი. აქედან დაიწყო ლეო ჩიქავას გამორჩეულ საზოგადო მოღვაწედ აღიარებაც.

ნიშანდობლივია, რომ ბ-ნი ლეო სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ნაყოფიერად მოღვაწეობდა ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სისტემაში ფუნქციონირებად საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების სამეცნიერო ცენტრში. ამიტომ, ასე მასშტაბურად მისთვის პატივისმცემება ლოგიკურია და ადამიანური მოფერების კარგი მაგალითიც.

ცენტრის კოლექტივმა დამავალა მადლობა გადაუხადო დღევანდელი კონფერენციის ორგანიზატორებს. დიდი სიამოვნებით ვასრულებ მათ დავალებას:

ამასთან, ვსარგებლობ შემთხვევით და ერთხელ კიდევ გავიმეორებ ამავე დარბაზში ადრე ჩემს მიერ

გამოთქმულ მოსაზრებას.

ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, საქართველოს ეკონომისტთა თვალსაჩინო წარმომადგენლების ძლიერი ჯგუფი ქუჩაში დარჩა. ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ისინი მოიწვია, მათ სარბიელი მისცა. ამით რამდენიმე გონივრული ნაბიჯი გადაიდგა. სწავლების ხარისხის ამაღლების ხელსაყრელი გარემო შეიქმნა, რაც მთავარია, მათი პოტენციალი და ღირსება დაცულ იქნა. უფრო მეტიც, რამდენიმე მათგანს ვარსკვლავი გაუხსნეს.

ეს მოვლენაა, თანაც უნიკალური. ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დღენიადაგ ხელს უწყობს ნიჭიერ მეცნიერთა ქვეყნის აღმშენებლობაში ჩართვას. ეს მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს სხვა სასწავლებლებისა და, საერთოდ, განათლების მთელი სისტემისთვის.

ახლა კონკრეტულად თემაზე ლეო ჩიქავას თეორიული მემკვიდრეობის პრაგმატული მნიშვნელობა.

ბატონ ლეოს სამეცნიერო მოღვაწეობაში პირობითად, პირველი მიახლოებით, ხუთი მთავარი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ.

1. ეკონომიკური თეორიის გენეზისი, არსებული თეორიების სისტემური შეფასება, თეორიისა და პრაქტიკის ორგანული ერთიანობის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური საფუძვლები, ბუნებრივი, შრომითი და შრომით



შექმნილი მატერიალური რესურსების გამოყენების პრობლემები და სხვ. ამ პრობლემებს მიეძღვნა მისი „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი“. იგი ამ ნაშრომს საკუთარ შრომებში საუკეთესოდ მიიჩნევდა. მთლიანად ვიზიარებ წიგნის მთავარი რედაქტორის, ქალბატონ როზეტა ასათიანის, მოსაზრებას, რომ „ამ ნაშრომის მთავარი ღირებულება ისაა, რომ იგი თავისუფალია გადაჭარბებული იდეოლოგიზაციისგან, მოძველებული დოგმებისგან. პოლიტიკური ეკონომიის ფორმაციურ განხილვაზე უარის თქმამ საშუალება მისცა ავტორს, შეექმნა პრინციპულად ახალი სტრუქტურა, რომელიც საკითხთა ფართო წრეს მოიცავს და უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს“. კარგად არის ნათქვამი.

2. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები და მათი გადაწყვეტის თავისებურებანი საქართველოში. ამ პრობლემას მიეძღვნა ბ-ნი ლეოს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. რომლებშიც მოცემული დასკვნები, რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა საქართველოში კვების მრეწველობის გადაადგილების გენერალურ სქემაში და სპეციალიზაციის გაღრმავების პროგრამებში.

3. დემოგრაფიის პრობლემები და მათი გადაწყვეტის ძირითადი მიმართულებები. ამ პრობლემას მიეძღვნა მონოგრაფია „დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა“. ავტორმა პირველად დააყენა, დაასაბუთა „დემოგრაფიის“, როგორც მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ მეცნიერული დისციპლინის, ფორმულირების „დემოლოგიით“ ჩანაცვლების მიზანშეწონილობა.

4. დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემა საქართველოში. ამ პრობლემაზე მონოგრაფიულ გამოკვლევაში ავტორმა შეძლო უნიკალურ სიტუაციაში -საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში - კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად აეხსნა უმუშევრობის გამომწვევი ტრადიციული და ახალი გარემოებებით განპირობებული მიზეზები (ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები) და მიეცა პრობლემის დაძლევის არგუმენტირებული რეკომენდაციები.

5. ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება-განვითარების პრობლემები საქართველოში. პრობლემა აქტუალურია, იგი ღრმა მეცნიერულად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, განსაკუთრებით ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. ამიტომ

ნაშრომი მნიშვნელოვანწილად პოლემიკური ხასიათისაა. ავტორი თითქმის ყველა საკითხზე გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას და აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს ინოვაციური ეკონომიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრისათვის.

ყველა ზემოთაღნიშნული პრობლემა-მიმართულება ზოგადსაკაცობრიოსთან ერთად ზოგად-ეროვნული მნიშვნელობისაა. მით უფრო, დღევანდელ საქართველოში, როცა საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა პერმანენტული კრიზისის პირობებში ფუნქციონირებს. დღეს მსოფლიოში აღიარებენ, რომ 5 პრობლემა ხელს უშლის განვითარებას, აღრმავებს სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს. ესენია: სიღარიბე, უმუშევრობა, უწიგნურობა, ავადმყოფობა, უთანასწორობა. ბუნებრივია, ყველა ეს პრობლემა მეტ-ნაკლები მასშტაბით შესწავლილი და განზოგადებულია ბ-ნ ლეოს ნაშრომებში. მეცნიერული კვლევის ფონზე მან პრობლემის გადაწყვეტის სწორი კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები მოგვცა.

თუ ქვეყანაში მდგომარეობა არ უმჯობესდება ამას მეცნიერებს ვერ დავაბრალებთ. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ჰქვია იმ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ. ბევრ კითხვაზე პასუხიც არა გვაქვს. მაგალითად, გვიჭირს იმის ახსნა, რომ ზემოთაღნიშნული პრობლემები 3 ათეული წლის წინათ გადაწყვეტილად რომ მიგვაჩნდა, დღეს „დამოკლეს მახვილივით“ რატომ ჩამოევიდა ქვეყანას? ვერც იმის გაცნობიერების უნარი აღმოგვაჩნდა, ორგანიზების ნაცვლად დროს უაზრო ლაპარაკსა და დისკუსიებში რატომ ვფლანგავთ, რატომ ვეგუებით სხვის ხარჯზე ცხოვრებას, რატომ ვიკვებებით უცხოური პურით, ვეჩვევით უცხოურ აზროვნებას, უცხოურია ირგვლივ ყველაფერი, მათ შორის ისიც, რაც ქართული ფენომენისთვის მიუღებელია. ენა იჩაგრება, საწმუნოებას კი შიგნითაც და გარედანაც ებრძვიან, ტერიტორიული მთლიანობა მორღვეულია, საზოგადოების ცალკეული ჯგუფების ინტერესებს ამოფარებული რევანშისტული სულისკვეთება ისევ მძლავრობს.

ასეთია მწარე რეალობა.

ასეთ ფონზე მიზანშეწონილად მიმაჩნია, ლეო ჩიქავას მოღვაწეობის ზემოთდასახელებული

თემატიკიდან ზოგიერთ საკითხზე მოკლედ და რეგლამენტის შესაბამისად მოგახსენოთ.

წარმოების ფაქტორები და მათი გამოყენების თავისებურებანი სისტემურად არის განხილული, ხოლო თითოეული ფაქტორის (მიწა, შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი) როლი და ადგილი ზედმიწევნით ობიექტურად განსაზღვრული. ამასთან, ავტორი აყენებს საკითხს - შეიძლება თუ არა მეხუთე ფაქტორად საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ვაღიაროთო. აქ პაუზას უშვებს (თუმცა, ამავე ნაშრომში სპეციალური თავი მიუძღვნა ამ პრობლემას) და მკითხველს თხოვს თვითონ ჩამოყალიბდეს და დასმულ კითხვას გამოკვეთილი პასუხი გასცეს. რა მოხდა? სტრიქონები იწერება 90-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა, ჯერ კიდევ, არ არის საკმარისი ემპირიული მასალა, რათა განზოგადდეს საბაზრო სისტემაში, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. ამასთან, იგი როგორც გამოცდილი მკვლევარი ანგარიშს უწევს საზოგადოების ეიფორიულ მდგომარეობას, განსაკუთრებით მისი აქტიური ნაწილის „ახალი ხილის“ სურნელებით ტკბობის (თუმცა, არავინ იცის იმ ხილის მომცემიმცენარე თუ იხარებს საქართველოში) სპონტანურად ჩამოყალიბებულ სიტუაციას.

შემდგომ, ბატონი ლეო, შესაბამისი არგუმენტაციით, სახელმწიფოს როლს საბაზრო სისტემაში ფაქტორად განიხილავს.

როგორია ჩემი, როგორც მკითხველის, აზრი აღნიშნულ პრობლემაზე? ჩემი აზრით, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება არა მხოლოდ ფაქტორია, არამედ, უნივერსალური ფაქტორიც, როგორც იტყვიან, ფაქტორთა საერთო ჯაჭვში ის ცენტრალური რგოლია, რომლის ამოწვევით მთელი ჯაჭვის ამოწვევა ხდება. ეს დადასტურდა სოციალისტურად აღიარებული საქართველოს ეკონომიკის კლასიკური კაპიტალიზმის XIX საუკუნის მოდელზე გადასვლის ექსპტრემალურ პერიოდში, რომელსაც გარდამავალს ვეძახით.

„მოკურმა თეარაპიამ“, რომელსაც 3 ავტორი ყავს: აშშ ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის მინიმუზაციის აუცილებლობის არგუმენტაციით, საქართველოს თავს მოახვია ისეთი მექანიზმი, რომელმაც საბაზრო პრინციპების თითქოს უმტკივნეულოდ

დამკვიდრების ნაცვლად, ძირფესვიანად ამოძრკვა ეროვნული ეკონომიკის მატერიალური და ორგანიზაციული საფუძვლები. დღეს ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარსაც ვერ აწარმოებს, „მოკური თეარაპიის“, როგორც დოქტრინის ზემოქმედებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ჯართის სახით ქვეყნის გარეთ გატანის შემდეგ. ცოცხალი გამწვევი ძალისთვის ნალის საჭირო რაოდენობით წარმოებაც ვერ ხერხდება. თუ გულწრფელად ვიტყვით, ქვეყანაში სისტემური კრიზისის გახანგრძლივების უმთავრესი მიზეზი ფორმირებადი სახელმწიფოს მიერ საკუთარი ეკონომიკური ეკსკლუზიური ფუნქციების გაუცნობიერებლობაა. განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ მთავარი არა საკუთრების ფორმაა, არამედ საკუთრების მართვის უნარი ე.წ. მენეჯმენტი. ამჟამად საქართველოში სამრეწველო პროდუქციის 96%, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია თითქმის მთლიანად, მშენებლობის 99%, ტრანსპორტის 60%-ზე მეტი, მომსახურების სფეროს პროდუქცია მთლიანად კერძო სექტორში იქმნება. მაშინ რატომ არ არის სისტემა ეფექტიანი? პასუხი ერთადერთია. წარმოების ზემოთ დასახელებული ფაქტორები დეფორმირებულია, ხოლო მათზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემა ლოგიკურად არაეფექტიანია.

ბატონი ლეო, ყოველმხრივ ასაბუთებს ცოდნის, როგორც ასეთის, განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივ განვითარებაში და ყოველმხრივ უპირატესობას ანიჭებს ილიასეულ პოზიციას, „კაცი მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაუღესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს, რომ ცოდნას დიდ მადლთან ერთად ცოდვაც შეუძლიან, ოღონდ კაცმა ნამუსზე ხელი აიღოს“. ილიას ეს მოსაზრება გაფრთხილებად უნდა მივიღოთ და რეალურად გავაცნობიეროთ, რომ საზოგადოებრივი განვითარება უმთავრეს ზნეობრივ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, რომელსაც ქართულად პატიოსნებას ეძახიან. სამწუხაროდ, მასზე საზოგადოებაში მოთხოვნაც არ არის, ასევე მოთხოვნა არ არის ცოდნაზე, არც შრომაზე, აი, რატომ ჩამოვრჩით. კითხვაზე საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალი არ არის საკმარისი, რომ ქვეყანა წარმატებით განვითარდეს? პასუხი ერთადერთია, საკმარისია, მაგრამ გვავიწყდება დიდი ილიას შეგონება „მარტო ნიჭი არის ძალა ბრმა, უსინათლო, მისი ნაყოფიერება გაუწდომელია (ე.ი. განუსაზღვრელია), როცა მას დაერთვის მეცადინეობა, შრომა, ჭკუით



განზრახული მოქმედება“.

პატიოსნებაზე, ნიჭზე, ცოდნაზე, შრომაზე მოთხოვნის ორგანიზაცია სახელმწიფოს ექსკლუზიური ფუნქციაა, მით უმეტეს, სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოდ ფორმირების კონსტიტუციურ მოთხოვნად აღიარების ქვეყანაში.

ბ-ნი ლეოს ხელწერის ერთი „ნიუანსის“ შესახებაც. რთული პრობლემის განხილვა-გადაწყვეტისას ბ-ნი ლეო, ჩემი აზრით, ყოველმხრივ ცდილობს ქართული წყაროების წამოწევას, მერე, მათი შეჯერებით, მოუხმობს მსოფლიოში აღიარებულ სწავლულთა გამონათქვამებს, ასეთ დროს ანალიზი უფრო დამაჯერებელი ხდება, ხოლო სინთეზი - ლოგიკური. აი, მაგალითებიც. ცოდნის, როგორც მეწარმეობრივი რესურსისა და წარმოების ფაქტორის განხილვისას იყენებს ცოდნის ქართულ ცნობიერებაში დამკვიდრებულ მიდგომებს (გამონათქვამებს), რომ ცოდნა „არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების, ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“ (დავით გურამიშვილი), ცოდნა თავისთავადაც სიმდიდრეა. მერე იმისთანა მაღლიანის სიმდიდრეა, რომ რაც არ უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა, თუ არ მოგემატება... შრომითა და გარჯით, ცოდნითა და ხერხით მოსული თან გაგვიტანს... თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ (ილია). „შრომა, ცოდნა და სიმართლე გწამდეს ესაა მთავარი“ (გალაკტიონი). ასეთი ბრძნული აზრების ერთ სიბრტყეზე განთავსების შემდეგ ავტორი სრულიად მოულოდნელად სვამს კითხვას: ქონება თუ ცოდნა? და შუა საუკუნეების ესპანელ სწავლულს ხუან მანუელს ათქმევინებს: „ცოდნა ჰქმნის და იცავს ქონებას, ქონება არ იძლევა ცოდნას“.

დღეს საქართველოში მენტალიტეტი ქონებისკენ იხრება. ეს გაფრთხილებაა საზოგადოებისთვის. აქტუალური მნიშვნელობა აქვს ვოლტერის მოსაზრებას „ქვეყანას, რომელიც მეცნიერების განვითარებაზე არ ზრუნავს, მომავალი არა აქვს“. ამ სტრიქონების არსს საქართველოში კარგად ჩაწვდნენ. ავტორმა ნიუტონიც აალაპარაკა: „მე დეკარტეზე უფრო შორს ვიხედები, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მასზე უფრო ჭკვიანი ვარ, არამედ იმიტომ, რომ გიგანტის მხრებზე ვდგევარ“. ესეც გაფრთხილებაა, რომელიც გვეუბნება მეცნიერებაში მემკვიდრეობითობა უნივერსალური პრინციპიაო.

როცა ბ-ნი ლეო რთულ პრობლემაზე მსჯელობისას იძულებულია პასუხი გასცეს კითხვას, არის თუ არა ეკონომიკური ცოდნის დიდი დეფიციტი საზოგადოებაში, იგი სიტყვას აძლევს ფრიდმენს. იგი ამბობს „ეკონომიკა მომხიბლავი მეცნიერებაა. მას მიმზიდველს ხდის ის, რომ მისი ფუნდამენტური პრინციპები, სიმარტივის გამო, შეიძლება ყველასათვის გასაგებად მარტო ერთ ფურცელზე დატოო. მიუხედავად ამისა, იგი ძალიან ცოტას თუ ესმის“. გამგები იგებს. აქვე ბ-ნი ლეო ამხნევებს მათ, ვისაც ცოდნა არა აქვს, რომ ეკონომიკური ცოდნის შეძენა შეიძლება თუ დაიცავთ შემდეგ მოთხოვნასო და აქაც აღიარებული სწავლულის სახელით იტყვის, რომ ამისათვის საჭიროა „აქლემისებური ამტანობა და წმინდანისებური მოთმინებაო“. გარკვეულწილად დაზღვევაზეც მიდის და სამუელსონს ათქმევინებს: „ადამიანი, რომელსაც არასოდეს უსწავლია ეკონომიკური თეორია, ჰგავს ყრუს, რომელიც ორკესტრის შეფასებას ცდილობს“.

ამონარიდებს იყენებს იმისთვის, რომ გაუადვილოს მკითხველს სწრაფად გაერკვეს ავტორისეულ ჩანაფიქრში. ასეთი ხერხი მსჯელობისა აკეთილშობილებს მეცნიერულ კვლევას, უფრო მიმზიდველს ხდის მას, აადვილებს მის აღქმას, ამ ხერხით, ბატონმა ლეომ, გვიჩვენა, რომ იგი ბრძენი კაცია, მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ჭკვიანი კაცი ყველა კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავალს ნახავს, ხოლო ბრძენი კრიტიკულ სიტუაციებს არ დაუშვებსო. ეს მან პრაქტიკულად გვიჩვენა.

როგორ მოახერხა ეს?

ლ. ჩიქავას სოციალური პორტრეტი მხოლოდ მეცნიერული მოღვაწეობით არ განისაზღვრება, იგი საინტერესო და მისაბამი პიროვნებაა, ძირძველ ოჯახურ ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი კაცი, დიახ კაცი! როგორც დიდი ილია იტყოდა: „ოჯახის კაცი, გვარის კაცი, თემის კაცი, ერის კაცი, ზოგად კაცი“.

მასში ყველაზე მეტად შრომისმოყვარეობა და ობიექტურობა მომწონდა. იგი საბჭოთა ეპოქაში დაიბადა, აღიზარდა, მისი მამულიშვილად აღიარება იმ დროს მოხდა, როცა რიგი ისტორიული მოვლენების გავლენით საქართველოს მიეცა საშუალება სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო, ბატონი ლეო ერთგულად ჩადგა ახალი საქართველოს აღმშენებლობაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ბ-ნი ლეო ხელს აწერს. დამოუკიდებელ საქართველოში ფართო მასშტაბები მიიღო მისმა მრავალმხრივმა მოღვაწეობამ. ცხოვრების სტილით, მრავალმხრივი მოღვაწეობით მან დაამტკიცა, რომ მთავარი ის კი არ არის სამშობლოს რომელ ისტორიულ ეპოქაში დაიბადე, მთავარია, მუდამ ერთგულად ემახურო მას, როგორც მამულიშვილი.

გარდაცვალების შემდეგაც ბ-ნი ლეო ჩიქავას მოღვაწეობის, მისი მეცნიერული მემკვიდრეობის


მიმართ საზოგადოების მხრივ ინტერესი იზრდება. საზოგადოებისთვის ლეო ჩიქავა მისაბადი მაგალითია.

ჩვენ კი, მეგობრები, ვამაყობთ იმით, რომ ლეო ჩიქავას თანამედროვენი ვიყავით.


გამოვიდა, პროფესორ გურამ ჯოლიას ახალი წიგნი: „კრეატიული განვითარება, განათლება, ცოდნა, ქმედება“. გთავაზობთ წიგნის თანდართულ ანოტაციას.

**კრეატიული განვითარება: განათლება, ცოდნა, ქმედება**

მონოგრაფია



გურამ ჯოლია



**გურამ ჯოლია** — ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მნიშვნელო პროფესორი:

- კარგულ-ამერიკულ უნივერსიტეტში;
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ-ის ქართულ უნივერსიტეტში.

თბილისის ფე. ვაგაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ნარჩინებული კურსდამთავრებული (1973).

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი (1978); დოცენტი (1979); სახელმწიფო უნივერსიტეტის ადრორი, მათ შორის, მნიშვნელოვანი (მარჯვლად საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში).

1. მარკეტინგი (1992);
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (1998, 2002, 2007, 2015);
3. ქვეყანათმცოდნეობა (გერმანია) (2003);
4. ქვეყანათმცოდნეობა (ამერიკა, აზია, აფრიკა, ავსტრალია) (2004);
5. საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი (2005) (თანაავტორობით);
6. ბიზნესეტკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება (2006);
7. ცოდნის ეკონომიკა და მართვა (2010) (თანაავტორობით);
8. საინტერნეტ-ეკონომიკური ფსიქოლოგია და კრეატიულობა (2012) (თანაავტორობით);
9. მოლაპარაკების თეორია და პრაქტიკა (2014) (თანაავტორობით);
10. ინტერნეტ-ეკონომიკა (2014) (თანაავტორობით);
11. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება (2015).

ოჯახი: მუღლე, სამი შვილი და სამი შვილშვილი.

საზოგადოების განვითარების დღევანდელ კონცეფციათა შორის კრეატიული განვითარება ერთ-ერთი პირველია როგორც მეცნიერული კვლევის პროგრესული ნიშან-თვისებების მატარებელი.


ნაშრომის სტრუქტურა თანამიმდევრულად ასახავს საკვ ლევი მასალის რიგითობას. მკითხველი პირველად გაეცნობა საზოგადოების კრეატიული განვითარების თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებს, შემდეგ ყურადღებას გადაიტანს განათლებასა და ცოდნაზე როგორც კრეატიული განვითარების საფუძველზე, მომდევნო ნაწილში გაერკვევა ქალაქის როგორც კრეატიული განვი-

თარების მთავარ მამოძრავებელ ძალაში, შემდეგ კი – ახალი იდეების წარმო-შობისა და განვითარების მეთოდებში, დასკვნითი ნაწილის თემატიკის კრიტიკული გააზრებით შექმნის გააცნობიეროს სამერმისო გლობალური პრობლემები და გამოწვევები.

ნაშრომი განკუთვნილია მათთვის, ვინც ცდილობს გაერკვეს საზოგადოების კრეატიული განვითარების თანამედროვე რთულ და მრავალფეროვან სოციალურ-ეკონომიკურ, ურბანულ და ტექნოლოგიურ პრობლემებში და დაინტერესებულა მათი გადაწყვეტით.

## საჯარო სამსახურის გამოწვევები და მისი გადაჭრის გზები

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



წიგნად გამოიცა ლაშა მეგლადის ნაშრომი „საჯარო სამსახურის გამოწვევები და მისი გადაჭრის გზები“. იგი მოიცავს ინფორმაციას ქვეყნის საჯარო სამსახურის სისტემის მდგომარეობის შესახებ [ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე (2018 წლის 30 იანვარი) პერიოდს]. წარმოდგენილია ინფორმაცია საჯარო სამსახურის განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯების შესახებ. განხილულია, თუ რა გამოწვევების წინაშე იდგა ქვეყნის საჯარო სამსახური დამოუკიდებლობის მიღებიდან პირველ ათწლეულში, რა ტიპის რეფორმები გატარდა სისტემის სრულყოფის მიზნით და რა შედეგები მოიტანა გატარებულმა ღონისძიებებმა. ასევე, მიმოხილულია მსოფლიოში არსებული პრაქტიკა.

წარმოდგენილია ავტორის შეფასებები საჯარო სამსახურის ინსტიტუციურ მოდელთან, შრომით ურთიერთობებთან, ანაზღაურებისა და შეფასების სისტემასთან, საჯარო სამსახურში მიღებასთან, მოტივაციასთან, სწორად/ეფექტურად მართვის სტიმულირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შესაბამისად, განხილულია საჯარო სამსახურის მოწყობის პრინციპები/საფუძვლები

და შემოთავაზებულია ავტორისეული ხედვა, თუ როგორ პირინციპებზე უნდა იქნას აგებული საჯარო სამსახური, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სისტემის ეფექტურობა და ქვეყნის განვითარების დაჩქარება. ასევე, შეფასებულია საჯარო სამსახურის სისტემის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა; წარმოდგენილია ზოგიერთი საჯარო სამსახურის დაწესებულების ინსტიტუციური მოდელის ანალიზი და ავტორისეული მოსაზრებები მათი სრულყოფის თვალსაზრისით.

ეფექტიანი, მოქნილი და კვალიფიციური, საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისათვის ავტორი გვთავაზობს საჯარო სამსახურის მოწყობის ჰიბრიდულ/შერეულ მოდელს (კარიერული და ღია/საკონტრაქტო სისტემის ნაზავი), რომელიც უფრო მეტად ღირსებაზე დაფუძნებული და ღია საჯარო სამსახურის მოდელის პრინციპებით იქნება გაჯერებული.

ნაშრომი განკუთვნილია საჯარო სამსახურის სისტემის მოწყობის პრობლემემატიკით დაინტერესებული პირებისათვის. ასევე, ის შეიძლება საინტერესო იყოს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის სტუდენტებისთვისაც.





## ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1990 წლიდან დიდი ზეიმით აღინიშნება 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებული ქართული ენის დღე. წლებადელი ღონისძიება კი განსაკუთრებული იყო იმით, რომ ამ მოვლენებიდან გავიდა უკვე 40 წელი და აგრეთვე ეს თარიღი დაემთხვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან ერთად ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული ჩაატარა და ღონისძიებათა მრავალფეროვანი პროგრამა წარმოადგინა.

კვირეულის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე წიგნის პრეზენტაცია. მათ შორის გამორჩეული იყო ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის „ქართველური ენათმეცნიერება“ მე-4 ტომის პრეზენტაცია, რომელიც მიემდგვნა გამოჩენილი ქართველოლოგის, პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან 90 წლის საიუბილეო თარიღს. კრებულში შევიდა მეცნიერისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული – მოხსენებები, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მისალმებები, გამოხმაურებები, ფოტომასალები პირადი არქივიდან. წიგნში აღნიშულია ზურაბ ჭუმბურიძის, როგორც მეცნიერის დამსახურებაზე ქართველოლოგიის განვითარებაში.

მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ მომზადებული წიგნის - „გავრცელებულ ენობრივ შეცდომათა ლექსიკონი“ პრეზენტაცია, რომელიც გამიზნულია არასპეციალისტებისათვის. ლექსიკონში თავმოყრილი ენობრივი ერთეულები შერჩეულია გამოყენების შედარებით მაღალი სიხშირის მიხედვით.

გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ საპრეზენტაციოდ წარმოდგენილ წიგნში - „14 აპრილი, 1978“ კი გაერთიანებულია 1978 წლის 14 აპრილს თბილისსა და ბათუმში განვითარებული მოვლენების მონაწილეთა, კერძოდ, უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და დისიდენტური მოძრაობის წევრების ზეპირი ისტორიები. წიგნში აგრეთვე შესულია კონსტიტუციის ახალი პროექტის

განხილვისას ქართველ მეცნიერთა და მწერალთა მიერ სხვადასხვა უწყებაში წარმოთქმული სიტყვები, საარქივო მასალები, ფოტოები და სტატიები.

მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ღონისძიებათა ფარგლებში გამართული სამეცნიერო კონფერენციები. მათ შორის იყო 13 აპრილს ჩატარებული თსუ-ისა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, გიორგი ახვლედიანის ხსოვნას. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხებოდა ქართულ და ქართველური ენების პრობლემატიკას, კერძოდ კი, მის ისტორიულ და დღევანდელ კონტაქტებს სხვა ენებთან, ქართული ენის გავრცელების და სწავლების საკითხებს საზღვრისპირა რეგიონებში, აფხაზური ენის თანამედროვე მდგომარეობას და ასევე ენობრივი ეტიკეტისა და ნორმათა დადგენის, წერისა და მეტყველების, ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის კვლევისა და სწავლების კონკრეტულ პრობლემებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კონფერენციას წინ უძღოდა თსუ-სა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარებულ სტუდენტურ კონფერენციაზე, რომელიც ეხებოდა ქართველოლოგიურ კვლევებს, კი წარმოდგენილი იყო სტუდენტთა ნაშრომები ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარების ეტაპების შესახებ.

კვირეულის დღეები გამოირჩეოდა მრავალფეროვანი გამოფენებითაც, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა. მათ შორის ერთ-ერთი ასეთი იყო კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ თსუ-ის I კორპუსში მოწყობილი გამოფენა სახელწოდებით - „დედაენის შექმნის სათავეებთან“, - რომელზეც წარმოდგენილი იყო იაკობ გოგებაშვილის პირადი ხელნაწერები, მის თანამედროვეთა მიმოწერის ნიმუშები, სახელმძღვანელოსთვის ოსკარ შმერლინგის მიერ დახატული ილუსტრაციების ორიგინალები, ასევე დედაენისადმი მიძღვნილი ლექსებისა და მოთხრობების ავტოგრაფები. ექსპოზიციაზე

ახალი ეპოქისათვის THE NEW ECONOMIST

აგრეთვე წარმოდგენილი იყო პირველნაბეჭდი და აფხაზური დედაენის ორიგინალები, ანბანის პირველი ბეჭდური გამოცემა - 1629 წელს რომში დაბეჭდილი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, დედაენის 1920 წლის გამოცემის სტამბური კლიშეები და სხვა საინტერესო მასალა.

საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა აგრეთვე თსუ-ის ბიბლიოთეკაში გამართული გამოფენა - „ქართული ენის მემატიაწე წიგნებით“, რომელზეც გამოფენილი იყო XVII-XX საუკუნის თსუ-ის ბიბლიოთეკის ფონდში დაცული 55 იშვიათი წიგნი. გამოფენა დაყოფილი იყო ორ ნაწილად: ერთში წარმოდგენილი იყო რარიტეტები, ძველი ნაბეჭდი წიგნები, მათ შორის იტალიაში გამოცემული პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი და მეორეში კი - საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომები, მათ შორის შავ ლუსკუმაში ჩასვენებული აკაკი შანიძის დისერტაცია, რომელმაც ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიური სკოლის განვითარებას ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კვირულის დღეებში მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსებისა და პროექტების - „ჩვენი ენა ქართული“, „გავუფრთხილდეთ

მშობლიურ ენას!“ და „მე მიყვარს ქართული - ჩემი სახელმწიფო ენა“ გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება, რომელიც გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. კონკურსსა და პროექტში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც თსუ-ის, ისე სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები.

დაბოლოს, 14 აპრილს ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ქართული ენის სწავლებისა და პოპულარიზებაში, ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის ქართველი და უცხოელი მეცნიერები და მოქალაქეები.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე თითქმის ყველა გამომსვლელთაგან აღინიშნა უნივერსიტეტის მნიშვნელოვან როლზე 1978 წლის 14 აპრილს განვითარებულ მოვლენებში, რაც იყო მაგალითის მიმცემი მაშინდელი საბჭოთა კავშირის დანარჩენი რესპუბლიკებისათვის ეროვნული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსით დაკანონებისათვის.

ირინა ჯავახაძე  
ფილოლოგიის დოქტორი - PhD,  
თსუ-ს თანამშრომელი, მოწვეული პედაგოგი,  
მობ.: 599 42 22 50

# საგარეო ეკონომისტი

## საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველებს დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა – 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.
2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელ-ფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;
3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.
4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.
- სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 10 ლარი.
5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექმნისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს “ლოი“-ს ანგარიშზე; საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: [loidk@yahoo.com](mailto:loidk@yahoo.com); [www.loi.ge](http://www.loi.ge)

ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

## International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.
3. The article must have reziume in Georgian, English and Russian languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.  
The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.
5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE61HB000000000713602, “Halyk Bank Georgia”, central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: [loidk@yahoo.com](mailto:loidk@yahoo.com); [www.economisti.ge](http://www.economisti.ge); [www.loi.ge](http://www.loi.ge)

Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.



უპს “**Smarty**” გთავაზობთ სრულ სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული ბეჭდვა

ფართოფორმატიანი ბეჭდვა

ოფსეტური ბეჭდვა



ბანერი ბადე სტიკერი სტიკერი

HEIDELBERG A2

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლეტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- ბლანკი
- კოპირებადი
- თვითწაბადი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი:
- ჯიზის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

**აღვიწიე მიტანის სერვისი უფასოდ!!!**

მის.: ქ. თბილისი, აგლაკის ქ.83

☎ 551 30 33 20

✉ smartyLTD@gmail.com

🌐 smarty.ltd



Smarty

www.smarty.ge